საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 6 მაისი, 2015 წელი.

№82 (7727)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

დამღუპველი გზა

3

ორიოდე დღის წინ მედიამ გვაუწყა, რომ ყარაბაღში (სტეფანაკერტი) ჩასულმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ერთერთმა ლიდერმა თანაგრძნობა გამოუცხადა სომხეთის პარლამენტის სპიკერს გენოციდის 100 წლისთავთან დაკავშირებით; თანაც დასძინა, რომ გენოციდი ოსებმაც იწვნიეს ქართველებისგანო. ასეა, ამგვარი სიცრუით კვებავენ ძირძველი ქართული კუთხის ოსურ მოსახლეობას. არაფერს დაგიდევენ და საზღვარგარეთაც ხმამაღლა აცხადებენ ქართველებისაგან თავიანთი „გაწამებული ცხოვრების შესახებ.

სიმართლე კი ასეთია

კვლავ დაუსაბუთებლად 6 გვითვალთვალებენ?!

6

ვეტერანების დარიგება ასალგაზრდობას – „არ დაიჯეროთ, რომ ეს არ იყო ჩვენი გამარჯვება!“

4

სამი პოლიტიკური პარტია პრეზიდენტს განცხადებით მიმართავს

იპოთეკართა სოლიდარობა – პრეზიდენტს...

უსახურმა სარეკლამო ბანერებმა ქალაქი არ უნდა დაამახინჯოს

2

მაისობა – სერიოზული გაფრთხილება ხელისუფალთათვის...

გაევროპელებულ ხელისუფლებას თავის გადარჩენის გარდა, არაფერი აწუხებს, მაგრამ ამ პროცესში რომ ქვეყანა ხელში აღნებათ, ვერ ან არ ხედავენ.

5

ძველი ტაძრების რესტავრაციას მომღერალ შადრევნებს ამჯობინებდნენ



6

ნეპალის გაკვეთილები – საქართველოსთვის

10

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

იპოთეკართა სოლიდარობა პრეზიდენტს...

გუშინ იპოთეკით დაზარალებულები პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან შეიკრიბნენ. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა ირინე მღვდელაძემ განაცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ქვეყნის პირველი პირის გიორგი მარგველაშვილისთვის სოლიდარობის გამოსახატავად მივიდნენ, ვინაიდან მათ მსგავსად პრეზიდენტსაც გამოსახლება ემუქრება.

„ჩვენ ჩვენს თავს აღარ ვუწოდებთ იპოთეკით დაზარალებულებს და, ვფიქრობთ, რომ რეჟიმით დაზარალებულები ვართ. საქართველოში როგორც ეკონომიკური კრიზისი, ისე გაჩნდა იპოთეკური კრიზისი, მთავრობა კი არ ზრუნავს მის გადაწყვეტაზე. ჩვენ აყრილები ვართ ჩვენი საცხოვრებელი ადგილებიდან. თავისუფლება, თავმოყვარეობა წაგვართვეს. ვითხოვთ, პრეზიდენტთან შეხვედრას, რათა მას ვთხოვოთ, ვეტო დაადოს ჩვენი გამოსახლების პროცესს იქამდე, ვიდრე მთავრობა პრობლემას არ გადაწყვეტს. ასე რომ, დღეს აქ მოვედით იმიტომ, რომ სოლიდარობა გამოვუცხადოთ თავად პრეზიდენტს, რომელსაც ასევე ემუქრება რეზიდენციიდან გამოსახლება“, — განაცხადა ირინე მღვდელაძემ.

მისივე განმარტებით, გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის თხოვნით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შესაბამისი განაცხადი იანვარში ჩააბარეს.

სამი პოლიტიკური პარტია პრეზიდენტს განცხადებით მიმართავს

როგორც პოლიტიკურმა პარტიებმა განაცხადეს, ისინი საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, როგორც კონსტიტუციური წესრიგის გარანტს, მოუწოდებენ, მხოლოდ ვითარებაში სათანადოდ გარკვევის, პრემიერთან პირისპირ კონსულტაციებისა და შეთანხმების შემდგომ წარუდგინოს პარლამენტს მთავრობის ისეთი შემადგენლობა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში არსებული კრიზისის დაძლევას.

პოლიტიკური პარტიების ერთობლივ მიმართვას „მემარცხენე ალიანსი“ — სოსო შატბერაშვილი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ — დავით თარხან-მოურავი და „ქართული დასი“ — ჯონდი ბაღათურია აწერენ ხელს.

„ბატონო პრეზიდენტო, გაცნობებთ, რომ ქართველ საზოგადოებაში და პოლიტიკურ სპექტრში არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირების პროცესში, მინისტრების კანდიდატურების შერჩევის დროს, პრემიერ-მინისტრზე განხორციელდა ზეწოლა და მის საქმიანობაში უხეში ჩარევა არაუფლებამოსილი, კონსტიტუციური სტატუსის არმქონე მხარის მიერ, რითაც დაირღვა კონსტიტუცია.

ამ მოსაზრებას ადასტურებს მინისტრებისა და თავად პრემიერ-მინისტრის დაბნეულობა და არათანმიმდევრული, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები. საქმე იქამდე მივიდა, რომ პრემიერ-მინისტრი იძულებული გახდა დაანონსებული ბრიფინგი გადაედო და უკვე გაცხადებულ შემადგენლობაში დამატებით შეეტანა ცვლილებები.

ამიტომ, ჩვენ, პოლიტიკური პარტიები მოგმართავთ თქვენ, საქართველოს პრეზიდენტს, როგორც კონსტიტუციური წესრიგის გარანტს, მხოლოდ ვითარებაში სათანადოდ გარკვევის, პრემიერთან პირისპირ კონსულტაციებისა და შეთანხმების შემდგომ წარუდგინოთ პარლამენტს მთავრობის ისეთი შემადგენლობა, რომელიც შეძლებს ქვეყანაში არსებული კრიზისის დაძლევას“, — ნათქვამია პოლიტიკური პარტიების ერთობლივ განცხადებაში.

უსახურმა სარეკლამო ბანერებმა ქალაქი არ უნდა დაამახინჯოს

თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, გარე რეკლამის განვითარებასა და მართვასთან დაკავშირებული პროექტი განსახორციელებლად საკრებულოშია წარდგენილი.

როგორც დავით ნარმანიამ განაცხადა, პროექტის მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ თანაბარი განვითარებისა და კონკურენციის შესაძლებლობა და საშუალება ჰქონდეს ბაზარზე ყველა ფირმას.

„მნიშვნელოვანია ის, რომ ნებართვას გარე რეკლამის გავრცელებასთან დაკავშირებით გასცემდეს მუნიციპალიტეტი და თანხმდებოდეს ვიზუალურად მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან. ასევე მოუწესრიგებელი სარეკლამო ბანერები უნდა იწვევდეს განთავსებელი კომპანიის დაჯარიმებას, რათა ვიზუალური თვალსაზრისით მოუწესრიგებელი სარეკლამო სივრცეები არ გვქონდეს ქალაქში“, — განაცხადა ნარმანიამ

◎ ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად

დიფერენცირებული საგადასახადო ზონები

თანამედროვე საქართველოს უამრავი პრობლემა აქვს: სუსტი ეკონომიკა, რომელიც იმპორტზეა ორიენტირებული, უმუშევრობა და სიღუხჭირე, გადატვირთული ქალაქები და მოსახლეობისგან დაცლილი რეგიონები, მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ვერ ვითარდება, ქვეყნიდან წასული შრომისუნარიანი მოსახლეობა და ა.შ. სად არის გამოსავალი ამ სიტუაციიდან? — ამ შეკითხვით პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილეს თემურ მაისურაძეს მივმართეთ.

როგორც თემურ მაისურაძემ bpn.ge-სთან საუბრისას განაცხადა, გამოსავალი დიფერენცირებული საგადასახადო ზონების შემოღებაშია.

— ალბათ, მკითხველიც დამეთანხმება, რომ ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი რესურსია გამოუყენებელი. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ადამიანური, არამედ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და ბუნებრივი რესურსებიც. იმისათვის, რომ საქართველოში ინვესტიციები შემოვიდეს და მხოლოდ მთავრობის ინიციატივებით არ შემოვიფარგლოთ, დიფერენცირებული საგადასახადო ზონების შემოღება უნდა დავიწყოთ.

— რას გულისხმობთ „დიფერენცირებულ საგადასახადო ზონებში“?

— ახლავე აგიხსნით: ბიზნესის წარმოების მხრივ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული ვითარებაა: სულ სხვა ვითარებაა თბილისში, ან ბათუმში და სულ სხვა — ყველაზე გაჭირვებულ ზონებში, რომლებიც მოსახლეობისგან არის დაცლილი. ამ ხალხს უკან, მშობლიურ ადგილებში დასაბრუნებლად შესაბამისი ინტერესი და სტიმული უნდა გაუჩნდეს. ამიტომ მიმაჩნია, რომ რეგიონებში, რომლებიც მოსახლეობისგან დაცლილია, ნულოვანი საგადასახადო ზონები უნდა შევქმნათ. შედარებით მეტად დასახლებულ პუნქტებში კი — 2-3%-იანი, 4-%-იანი და ა.შ. ყველაზე მაღალი საგადასახადო ზონა უნდა იყოს თბილისში, ანუ დარჩეს იმ ზონად, როგორიც ახლაა. მგონი, ძნელი არ არის განსაზღვრა, სად, რომელ რეგიონებში უნდა იყოს ნულოვანი საგადასახადო ზონა. კომპანიები გადასახადებს უნდა იხდიდნენ არა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, არამედ იმ ადგილის მიხედვით, სადაც პროდუქცია აწარმოეს. თბილისი თუ არის ყველაზე მაღალი საგადასახადო ზონა, ქუთაისი უნდა იყოს 2-3%-ით ნაკლები და ა.შ, თუმცა, ამ ყველაფერს დათვლა და გათვალისწინება სჭირდება.

— როგორ ფიქრობთ, თუ ბიზნესმენს აწყობილი აქვს წარმოებისა და გასაღების სისტემა და წლების განმავლობაში საქმიანობს თბილისში, ბათუმში, ან რომელიმე მოზრდილ ქალაქში, წავა ის რეგიონში, სადაც მოსახლეობაც კი არ დახვდება?

— ამ შეკითხვას შეკითხვითვე ვუპასუხებ: რატომ გაჩერდება „კოკა-კოლა“, ან სხვა დიდი საწარმო თბილისში, როდესაც მის ხელმძღვანელებს ეცოდინებათ, რომ უწერაში, ან სხვა ადგილას ამხელა გადასახადების გადახდა არ მოუწევთ? მით უმეტეს, თუ იქ წყალიც უკეთესია, ბუნებაც და ბიზნესის წარმოებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები დახვდებათ? რა თქმა უნდა, იმ ბიზნესმენისთვის, რომელიც ნულოვან ზონაში დაიწყებს საქმიანობას, საბანკო სესხებიც შეღავათიანი იქნება, ტრანსპორტირებისა და მიმოსვლის მხრივ კი, საქართველოში პრობლემა არ არის — ეს ყველამ კარგად ვიცით. ვფიქრობ, რომ ნულოვანი საგადასახადო ზონების შემოღების შემდეგ საქმიანი ზონები თბილისის გარეთ გადაინაცვლებს. ახლა კი, ყველაზე დიდი ბაზრობები აქ არის, თუ ისინი რეგიონებში გადავა და განლაგდება ყველაზე მოხერხებულ ზონებში მიმოსვლის თვალსაზრისით, საქართველო თანაბრად დაიტვირთება და ყველა რესურსი თანაბრად იქნება გამოყენებული. თბილისი კი დარჩება ადმინისტრაციულ ქალაქად. ვფიქრობ, ეს სერიოზულად დააჩქარებს ეკონომიკურ აქტივობას ქვეყანაში, რადგან ინვესტორებისთვის მთელი საქართველო საინტერესო გახდება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ინვესტიციების რაოდენობას ქვეყანაში. ამის თქმის საფუძველს კი ბევრი რამ მაძლევს: პირველი — რეგიონში რესურსები უფრო იაფია, მეორე — იქ მუშახელიც უფრო იაფია დედაქალაქთან შედარებით, მესამე — უნდა შევძლოთ, რომ რეგიონში მოღვაწე ბიზნესმენებს კრედიტებზე უფრო იოლად მიუწვდებოდეთ ხელი. ეს ყველაფერი ერთად იქნება სერიოზული მასტიმულირებელი ფაქტორი იმისთვის, რომ ბიზნესი რეგიონებში გადავიდეს. თუ დაბალ საგადასახადო ზონებში წარმოებული პროდუქცია სერიოზულ კონკურენციას გაუწევს თბილისში წარმოებულს, ბიზნესიც ეცდება შეღავათიან საგადასახადო ზონაში გადავიდეს. კომპანიამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, გაუძლებს, თუ ვერ გაუძლებს ამ კონკურენციას.

— მით უმეტეს, რომ რეგიონებში სამუშაოს შოვნა ძალიან ჭირს და მიგრაციის ყველაზე მაღალი დონეც სწორედ იქ შეინიშნება.

— სამწუხაროდ, ასეა. მსგავსი არათანაბარი ეკონომიკური განვითარება ისეთ ერთი ციდა სახელმწიფოში, როგორიც საქართველოა, მე არსად მეგულება. თითქმის დაცლილია რეგიონები და მთელი მოსახლეობა კონცენტრირებულია 1-2 ქალაქში. თუ დიფერენცირებული საგადასახადო ზონები გვექნება, მეწარმეები თვითონვე გადაადგილდებიან, მათ თან მიჰყვება მუშახელი და ახალი სამუშაო ადგილებიც შეიქმნება. როდესაც სტუდენტი სწავლობს თბილისში და ეუფლება დავუშვათ ინჟინრის, ან ტექნოლოგის პროფესიას, მას უკან დაბრუნების სტიმული არა აქვს იმიტომ, რომ იცის — თავის სოფელში ვერ იმუშავებს, მაგრამ თუ მას იქ დასაქმების პერსპექტივა ექნება, თავისთავად გაუჩნდება სურვილი მიიღოს შესაბამისი განათლება და დაბრუნდეს თავის რაიონში, სადაც სამუშაოსაც იშოვნის და ანაზღაურებაც უფრო მაღალი ექნება. ეს არის სისტემური მიდგომა და არა ის, რომ სადღაც რაღაც საწარმო ხელოვნურად გავხსნათ და რეალური შედეგი ვერ მივიღოთ.

— თქვენ თუ გიფიქრიათ, რომელი დარგის განვითარება შეიძლება ამა თუ იმ რეგიონში?

— თავისუფლად შეიძლება ავეჯის წარმოება განვითარდეს ისეთ ზონებში, რომლებიც ტყით მდიდარია — ასეთია მაგალითად, უწერა, ბორჯომი, ახალდაბა და სხვა ადგილები. ავიღოთ თუნდაც რაჭა, რომელიც დაცლილია მოსახლეობისგან: იქ ტყეში არის უამრავი ხილი — ვაშლი, პანტა, მსხალი და ა.შ. ამ ხილს არავინ კრეფს, ძირს ჩამოდის და ლპება. დავუშვათ, მე მინდა ვაწარმოო წვენები, ამისათვის იქ საუკეთესო პირობებია. თუ იქნება ორგანიზაცია, რომელიც გადაამუშავებს ამ ხილს და შეძლებს კონკურენცია გაუწიოს „კულას“, ან სხვებს, ხელი რატომ არ უნდა შევუწყოთ? იქ ხომ ხალხი ჩავა, მოკრეფს ტონობით ხილს და ჩააბარებს, იქვე გაჩნდება შესაფუთი მასალების საწარმო და სხვა ტიპის წარმოებები — აი, ეს არის გზა, რომელიც სწრაფად ააღორძინებს საქართველოს ეკონომიკას. თუ სამუშაო ექნება, ადამიანს გაუჩნდება სურვილი დაბრუნდეს იქ, სადაც სახლ-კარი აქვს, სადაც გაიზარდა. ამით საქართველოს ტერიტორია თანაბრად განსახლდება და ჩვენს რესურსებსაც სრულად გამოვიყენებთ.

— თქვენ ამბობთ, რომ ბიზნესისთვის ქუთაისის პარლამენტის შენობაც ძალიან საინტერესოა...

— პარლამენტარებმა ქუთაისის პარლამენტის შენობა უნდა დავცალოთ იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ორი პარლამენტის შენობა. წესით, პარლამენტი უნდა იყოს თბილისში, ხოლო იმ შენობაში, რომელშიც ამჟამად ვიმყოფებით, უნდა გავხსნათ კავკასიის მასშტაბის, ჰაბის ტიპის სასაქონლო-საფონდო ბირჟა. თუ ეს მოხერხდება, ძალიან კარგი იქნება: ამ შენობაში იქნებიან კომპანიების, ფირმებისა და საბანკო სექტორის წარმომადგენელები, ნოტარიუსები და ა.შ. გარდა ამისა, პარლამენტის შენობის გარშემო არის საკმაოდ დიდი ტერიტორია, რომელიც საშუალებას იძლევა მათი საქმიანობა გაფართოვდეს. ეს არის კონკრეტული მექანიზმი, სქემა, რომელიც, ჩემი აზრით, დადებით ნაყოფს გამოიღებს. მსგავსი ნაბიჯები კი, ძალიან სწრაფად გამოაცოცხლებს საქართველოს ეკონომიკას.

ხათუნა ჩიგოგიძე

სიმართლე კი ასეთია

ორიოდე დღის წინ მედიამ გვაუწყა, რომ ყარაბაღში (სტეფანაკერტი) ჩასულმა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთმა ლიდერმა თანაგრძნობა გამოუცხადა სომხეთის პარლამენტის სპიკერს გენოციდის 100 წლისთავთან დაკავშირებით; თანაც დასძინა, რომ გენოციდი ოსებმაც იწვნიეს ქართველებისგანო. ასეა, ამგვარი სიცრუით კვებავენ ძირძველი ქართული კუთხის ოსურ მოსახლეობას. არაფერს დაგიდევენ და საზღვარგარეთაც ხმამაღლა აცხადებენ ქართველებისაგან თავიანთი „გაწამებული ცხოვრების შესახებ.

სიმართლე? სიმართლე კი ასეთა.

სადავო არ არის, რომ ოსები ჩრდილო კავკასიაში (ახლანდელი ჩრდილო ოსეთის ტერიტორიაზე) გარკვეული საუკუნეების წინ დასახლდნენ სკვითურ-სარმატულ ტომებთან ერთად (ნიშანდობლივია, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჩრდილო აღმოსავლურ ჯგუფს). X-XII საუკუნეებში ოსეთის სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთანაც (XI-XII სს-ში ოსეთი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო). თემურ-ლენგის შემოსევებმა ოსების გაერთიანებას ბოლო მოუღო და ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს (უნგრეთში, ბალკანეთის ქვეყნებში და სხვ.). ოსების ერთი ნაწილი შეეცადა ქართლში გადმოსვლას და დამკვიდრებას, მაგრამ ქართველ ფეოდალთა წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოხერხდა და იძულებულნი გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. XVII-XVIII სს-ში ოსები საქართველოს მთისწინა და ბარის ზოლში (ქართლის ჩრდილო განაპირა ტერიტორიაზე) ჩამოდიან და სახლდებიან. მცირე ნაწილი (კუდაროს ოსები) იმერეთის სამეფოში ჩასახლდა.

ქართლში დამკვიდრებული ოსები არაგვისა და ქსნის ერისთავებისა და მაჩაბლების სამფლობელოში მოხვდნენ. ისინი ფეოდალებს ქართველი ყმა-გლეხების მსგავსად ემსახურებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ ოსები ქართველების მხარდამხარ იბრძოდნენ მომხდური მტრის წინააღმდეგ. შემონახულია ცნობები, რომ ოს ყმა-გლეხებს ყურადღებით ეკიდებოდა ერეკლე II. იგი საგანგებოდ წერდა ზაზა მაჩაბელს, რომ მის მსახურებაში მყოფი თორმეტი ოსისათვის დროულად მიეწოდებინა საკვები და კეთილად მოჰკიდებოდა მათ.

გაკვირვება გამოიწვია რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის CNN-ისადმი მიცემულ ინტერვიუში გამოთქმულმა კატეგორიულმა განცხადებამ, რომ რუსეთის შემადგენლობაში არსებობდა ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი (ერთიანი ოსეთი), რომ ი. სტალინმა ოსეთი გაყო და სამხრეთი ოსეთი საქართველოს გადასცა, სადაც ავტონომიური ოლქი შეიქმნა; რომ ი. სტალინისავე ძალისხმევით აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს გადაეცა: აქ შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. ჩვენ ვერ მოვთხოვთ ბატონ ვ.პუტინს კავკასიის ისტორიის უზადო ცოდნას, მაგრამ ისინი კი ვინც მას ამგვარი ინფორმაცია მიაწოდა, შორს არიან ჭეშმარიტებისაგან. როცა სახელმწიფოს მეთაური ამგვარ განცხადებებს აკეთებს, მას მეტი დაფიქრება სჭირდება; არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ფაქტების გადამოწმებაა საჭირო. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში რუსეთ-ოსეთის ისტორიის ბევრი ფაქტის გაყალბება ხდება (იხ. ან. თოთაძე, ოსები საქართველოში: მითი და რეალობა, თბ., 2006 წ.).

საკმარისია, გავეცნოთ ოსი ისტორიკოსის, პროფესორ გ. თოგოშვილის გამოკვლევებს, მის სტატიებს ქართულ ენციკლოპედიაში, განსაკუთრებით სპეციალურ ტომში „საქართველოს სსრ“. თავი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, სამხრეთი ოსეთი“ (1981 წ., გვ. 337-339), რომ რეალურად წარმოვიდგინოთ სამხრეთ ოსეთის ისტორია. ამ თვალთახედვით საინტერესოა, ვ.აბაევის, ბ. ფლიევის, ო. თედეევას, ზ. გაგლოითის, პ. დოგუზოვისა და სხვ.ნაშრომები. აი, რას წერს ოსური მეცნიერების პატრიარქი ვასილ აბაევი: **Главный кавказский хребет _ естественная граница между Грузией и Осетией, а всякая попытка размыть эту границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... надо прежде всего покончить с разговорами об отторжений Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этим никогда не согласится и будет право, потому что это будет означать нарушение территориальной целосности Грузии.**

Кто хочет мира между южными осетинами и грузинами, должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии к Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность („Независимая газета, 1992 г., 22. 1., №13). აი, ჭეშმარიტი ოსი პატრიოტის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება. კომენტარი ზედმეტად მიმაჩნია. სამწუხაროა, რომ ამგვარი სიბრძნე არც ოსმა და არც რუსმა ფუნქციონერებმა არ გაითვალისწინეს.

დამღუპველი გზა

ბოლო პერიოდში რუსული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება აბსურდული მტკიცება – თითქოს 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთს შეუერთდა არა ისტორიული ოსეთის ერთი ნაწილი, არამედ მთელი ოსეთი. აქ შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილსაც გულისხმობენ, სადაც შემდგომში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა. 2004 წლის 10 ივლისს რუსეთის დუმამ უპასუხისმგებლო, შეიძლება ითქვას, აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოს და 1774 წელს ოსეთი ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩაითვალა, რომ რუსეთმა დაიცვას ოსი მოქალაქეების უფლებები. აქ საქმე გვაქვს ისტორიის ელემენტარულ უცოდინრობასთან. აღვნიშნოთ, რომ იმ დროს გეოგრაფიული ცნება „ოსეთი“ არ არსებობდა. ცხადია, არც ასეთი სახელმწიფო არსებობდა. თვით ოსებსაც, რომლებიც ქართლის მთიანეთში ცხოვრობდნენ, თავი ხიზნებად მიაჩნდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსი ჩინოვნიკები ცდილობენ, დაამკვიდრონ ხელოვნური ტერმინები „ჩრდილოეთი ოსეთი“ და „სამხრეთი ოსეთი“. XIX საუკუნემდე კი არავითარი საბუთი არ მოიპოვება, რომელიც დაამტკიცებდა, რომ შიდა ქართლის მთიანეთი ოსეთად იწოდებოდა. რეალურად 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემები. მეოთხე თემი – დიგორი ყაბარდოს გამგებლობაში იყო და რუსეთს 1781 წ. შეუერთდა. რაც შეეხება შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილს, სადაც შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა, ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ ქართლისა და ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოში შედიოდა განუყოფლად. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართული მასალები საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი და მისი უკიდურესი ჩრდილოეთი პროვინცია დვალეთი ქართლ-კახეთის შემადგენლობაში შედიოდა (ერთხანს XVII საუკუნეში) გიორგი სააკაძე იყო დვალეთის მოურავი). რუსეთის მიერ საქართველოს ანექსირების (1801 წ.) შემდეგ შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი დვალეთითურთ ერთხანს იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, შემდეგ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში. 1858 წ. კავკასიის მეფისნაცვლის ალექსანდრე ბარიატინსკის განკარგულებით დვალეთი „კავკასიის ლინიის“ ოსეთის ოკრუგს გადასცეს. ამგვარად, ჩრდილოეთ ოსეთს მიურეთეს მხოლოდ დვალეთი და არა შიდა ქართლის ის მიწა, სადაც შემდგომში ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის (1918 წ.) შემდეგ (ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაც დაანგრია) დვალეთი კვლავ საქართველოში შემოვიდა. 1920 წლის 7 მაისის რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის საზღვარი – იგი კავკასიის მთავარ ქედზე გადიოდა. ამდენად სრულიად ცხადია, რომ შიდა ქართლის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი – დვალეთი საქართველოს შემადგენლობაში იყო.

რუსეთს მიზნად ჰქონდა დასახული შიდა ქართლის შეერთება და ყოველგვარად ცდილობდა ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. საბჭოთა რუსეთმა ოსეთში და შიდა ქართლში შეიარაღებული აჯანყებების ინსპირირება მოახერხა. მათი მიზანი იყო „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მისი საქართველოსგან ჩამოცილება და რუსეთისთვის მიერთება. შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ჩაიგდებდნენ ხელთ. 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა და ბოლშევიკებმა აჯანყებულ ოსებს ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი ე. წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას და ეს ტერიტორია საბჭოთა რუსეთის ნაწილად გამოაცხადეს. ეს აქტი ყველა ნორმის დარღვევით გატარდა: დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იგნორირებულ იქნა ქართველი მოსახლეობის აზრი და ნება. რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 1920 წლის 23 მარტის დადგენილებაში ვკითხულობთ: „1. Организовать ревком в Южной Осетии... 2. обьявить Советскую власть... 3. Немедленно сформировать вооруженный отряд. 4. Войьти в связь с Северной Осетией... в распоряжении Ревкома отпустить 100 тысяч рублей (сто тысяч рублей). არის ასეთი მიმართვაც: „Москва, ЦК РКП(Б), Товарищу Ленину и Чичерину. Согласно приказу Кавказского Краевого Комитета от 23 марта, подтвержденному особым Курьерами того же Комитета... 8 июня в Южной Осетии провозглашена Советская власть“. არსებობს სხვა მასალები, საიდანაც თვალნათლივ ჩანს, თუ ვისი კარნახით გააჩაღეს ოსებმა ძმათამკვლელი ბრძოლა. ამდენად საქართველოს ე. წ. „ნაციონალ-შოვინისტური“ მთავრობის დადანაშაულება ოსი ხალხის „გენოციდში“ რბილად რომ ვთქვათ, უზნეობაა.

ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის მზაკვრული გეგმა – 1921 წლის თებერვალში საქართველო გასაბჭოვდა. რაც, ფაქტობრივად, ანექსიის (უკვე მეორედ) ტოლფასი იყო. ამით საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება. ნიშანდობლივია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთს ბოლშევიკებმა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მისცეს (1922 წ. აპრილი). რაც შეეხება ოსების ისტორიულ სამშობლოს – ჩრდილოეთ ოსეთს, მას ორი წლის შემდეგ (1924 წლის ივლისი) მისცეს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და იგი რუსეთის შემადგენლობაში დარჩა. ე. წ. სამხრეთ ოსეთში შევიდა მეტ-ნაკლებად ოსური მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რაიონები და ხელოვნურად მიმატებული ქართული ქალაქი ცხინვალი (1900 წლის „Кавказский календарь“-ის მიხედვით XX საუკუნის დადგომისას ცხინვალში ცხოვრობდნენ, ქართველები, ქართველი ებრაელები და სომხები) და მის ირგვლივ მყოფი რამდენიმე ქართული სოფელი. ეს გარკვეული ძალადობით მოხდა და ქართველი მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია (მასალები იხ.წიგნში: „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1991, გვ. 56-73). ავტონომიური ოლქის შექმნამ იმ რეგიონის ქართული მოსახლეობა საკუთარ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად აქცია, რაც თავის მხრივ, ადამიანის და ერის უფლებათა და თავისუფლებათა უხეში დარღვევა იყო.

აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ოსებს საქართველოს შემადგენლობაში ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის განვითარების ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ 1990-91 წლებში საქართველოში 100 ზოგადსაგანმანათლებლო ოსური სკოლა იყო, აქედან 90 ე. წ. სამხრეთ ოსეთში იყო. აქ სწავლა ოსურ ენაზე მიმდინარეობდა. დამოუკიდებელ საგნებად გადაიცემოდა ოსური ენა და ოსური ლიტერატურა. ცხინვალში ფუნქციონირებდა პედაგოგიური ინსტიტუტი, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო, მუსიკალური, სამხატვრო სასწავლებლები; პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები და სხვ. 1979 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით ე. წ. სამხრეთი ოსეთი უმაღლეს განათლებამიღებულთა რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში მეორე ადგილზე იყო. 1927 წელს შეიქმნა მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა სამხრეთ ოსეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტად (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში). ცხინვალში მომზადდა და გამოიცა ოსეთის ისტორიის (დოკუმენტები და მასალები) მრავალტომეული, „სამხრეთ ოსეთის ისტორიის“ ორტომეული, „ოსური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ ოთხ ტომად, „ოსური ლიტერატურის ისტორიის“ მრავალტომეული, ოსური ზღაპრების სამტომეული, ოსური სიმღერების კრებული (ნოტებითურთ). აქ ფუნქციონირებდა სახელმწიფო ეროვნული თეატრი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამხატვრო გალერეია, საჯარო ბიბლიოთეკა; მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირები, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოება, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ეროვნული ანსამბლი. მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა რადიომაუწყებლობა. გამოიცემოდა გაზეთები, ჟურნალები, მხატვრული ლიტერატურა. 1988 წელს ავტონომიურ ოლქში ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან შედარებით ყოველ 10 ათას ოსი ეროვნების მოსახლეზე 5-ჯერ მეტი წიგნი გამოიცა, 3-ჯერ მეტი ტირაჟით. როგორც ვხედავთ, ოსებს საქართველოს სახელმწიფო და ქართველი ხალხი ყველანაირ საშუალებას აძლევდა ეროვნულ-კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისათვის.

რაც შეეხება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, იქ ვითარების დასახასიათებლად მოვიტანთ მცირე ამონარიდს ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ა. გალაზოვის პუბლიკაციიდან: „Мне всегда искренне жаль молодых людей моей национальности, когда, несмотря на знание иностранных языков и мировой цивилизации, они чувствуют себе неуютно дома в силу незнания элементарных основ осетинской культуры... Национальную молодежь, к примеру, лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения“ (გაზ. „Правда“, 1989, 11-XI). აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია.

სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ ოსური მოსახლეობის ქართველებთან შერიგება-დაახლოებას შეეწყოს ხელი, პირიქით ხდება. ეს დამღუპველი გზაა.

როინ მეტრეველი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

◎ 9 მაისი – 70

ვეტერანების დარიგება ახალგაზრდობას – „არ დაიჯეროთ, რომ ეს არ იყო ჩვენი გამარჯვება!“



2 მაისს, წითელი არმიის მიერ ბერლინის აღების დღეს, თბილისში, წმ. სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე მდებარე საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში გაიმართა შიდა ქართლიდან ლტოლვილი ახალგაზრდების დაჯილდოების ცერემონია, რომლებმაც მანამდე მონაწილეობა მიიღეს სემინარში – „რატომ არის 9 მაისი გამარჯვების დღე საქართველოსთვის“.

ახალგაზრდულმა საინიციატივო ჯგუფმა „9 მაისმა“, ევრაზიის ინსტიტუტის მხარდაჭერით, ორგანიზება გაუკეთა ამ ღონისძიებას. მოსწავლეების წინაშე წარსდგნენ დიდი სამამულო ომის ნამდვილი ვეტერანები – ტარას იჩქითიძე და შოთა ბუაძე. ახალგაზრდები ყურადღებით უსმენდნენ ვეტერანებს, რომლებიც რეალურ სამხედრო ამბებს ჰყვებოდნენ. „არ დაიჯეროთ, როდესაც თქვენ გეუბნებიან, რომ საქართველოსთვის იმ საშინელი ომის არიდება შეიძლებოდა, არ დაიჯეროთ, რომ 9 მაისი ჩვენი გამარჯვება არ არის!“ – ასეთი დარიგება მისცეს ვეტერანებმა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს. მათ მოუთხრეს ახალგაზრდებს ნაცისტების მიერ ჩადენილ მხეცობებზე, რაც ვეტერანებმა ფრონტზე საკუთარი თვალით ნახეს. შოთა ბუაძეს, რომელიც თითქმის 91 წლისაა, აქამდე არ ავიწყდება გერმანელების მიერ დანახშირებული სოფლები ჩრდილო კავკასიაში – ასეთი ხვედრისგან იქნა გადარჩენილი საქართველო, საბჭოთა კავშირის ხალხების ერთიანობის, მათი გმირობისა და ამ ხალხების ლიდერის, წესით და რიგით, მთელი საქართველოსათვის საამაყო იოსებ სტალინის სიბრძნის წყალობით. ასეთია ვეტერანების პოზიცია, არტილერისტ შოთა ბუაძისა და სნაიპერ ტარას იჩქითიძისა, რომელმაც 56 გერმანელი „გამოიყვანა მწყობრიდან“.

ღონისძიების ორგანიზატორებმა წაიკითხეს ციტატები მოსწავლე-უფროსკლასელების მიერ მომზადებული თხზულებებიდან. აღინიშნა, რომ მათ მუშაობაში არავინ ჩარეულა, ახალგაზრდებმა დამოუკიდებლად მოამზადეს მოხსენებები, სხვა ინფორმაციებთან ერთად, ეყრდნობოდნენ რა სემინარზე მიღებულ ინფორმაციებს. *„9 მაისის გამარჯვებამ 1945 წელს კაცობრიობის ისტორიაში ახალი გმირული თავგანწირვისა და თავდადების ფურცელი დაბადა, ხოლო თანამედროვე ადამიანებს მოგვცა სწორი ცხოვრების და მოღვაწეობის გეზი. 9 მაისი გახდა ახალი ერების, სახელმწიფოების დაბადების და განვითარების საწინდარი მე-20 საუკუნეში“* – წერს თორნიკე როშნიაშვილი. თავის მხრივ, თენგიზ კოზმანაშვილი, დევნილი ცხინვალის რეგიონიდან, დედის მხრიდან წარმოშობით აფხაზი, აღნიშნავს: *„ამ ომში, რომელიც 1945 წლის 9 მაისს გამარჯვებით დასრულდა, ქართველებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ომში 700 ათასამდე საქართველოს წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომელთაგან თითქმის ნახევარი ბრძოლის ველზე დაეცა. მათ შორის ეთნიკური აფხაზები და ოსებიც იყვნენ. მათ ყველამ ერთად შესწირეს თავი იმას, რომ ფაშიზმს არ გაემარჯვა“.*

ხოლო ფიქრია ქრისტესიაშვილის თხზულებიდან წაკითხულმა ციტატამ შეკრებილი საზოგადოების განსაკუთრებული ემოციები და აპლოდისმენტები გამოიწვია: *„ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ გმირები, რომლებიც ამ ომში დაიღუპნენ. არ აქვს მნიშვნელობა ამ ადამიანების ეროვნებას, მაგრამ საქართველოში რუსი ჯარისკაცების ძეგლები ააფეთქეს, პატივს მათ საერთოდ არ მიაგებენ. რუსეთში კი, მოსკოვის ჩათვლით, დღესაც დგას ქართველი მებრძოლების ძეგლები, რუსები ძველებურად აღნიშნავენ ამ გამარჯვების დღეს და ჩვენც, ქართველებმა უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ არ ჩამოვრჩეთ რუსებს და ეს გამარჯვება შესაბამისად აღვნიშნოთ ხოლმე“...*

სიტყვით ასევე გამოვიდნენ: დიდი სამამულო ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კავშირის თავმჯდომარე ბატონი რევაზ ნაცარიშვილი და ფონდ „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელი ბატონი ტარიელ გაგნიძე.

ღონისძიების დასასრულს, ჯგუფ „9 მაისის“ წარმომადგენელმა, ქეთევან მაისურაძემ, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელ გულბაათ რცხილაძესთან ერთად, სემინარის მონაწილეებს გადასცა სერტიფიკატები, აგრეთვე თითოეულ მათგანს (სულ 30 მოსწავლეს), საჩუქრების სახით წიგნები (რუსი კლასიკოსების ქართულენოვანი თარგმანები) და ვაუჩერები, რომელთა საშუალებით მათ ზაფხულში შეეძლებათ, თბილისის პოპულარული აქვა-პარკის, „ჯინო პარადაიზის“ მონახულება. ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა მადლიერებით აღნიშნა, რომ „ჯინო პარადაიზის“ მენეჯმენტი სიამოვნებით დათანხმდა, გაენახევრებინა ვაუჩერების ბიზნეს-პაკეტის ფასი, რითაც უდიდესი სიხარული მოუტანა ახალგაზრდა ლტოლვილებს.

დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ, მოწაფეებმა ყვავილებით შეამკეს გენერალ-პოლკოვნიკის, საბჭოთა კავშირის გმირის კონსტანტინე ლესელიძის ბიუსტი, რომლის სახელობის ქუჩას, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, პროვოკაციულად შეუცვალეს სახელი. სხვათა შორის, ორგანიზაცია „9 მაისმა“ თბილისის მერიაში და საკრებულოში შეიტანა მოქალაქეთა ხელმოწერები მოთხოვნით, დაუბრუნდეს ქუჩას კონსტანტინე ლესელიძის სახელი.

ევრაზიის ინსტიტუტის
პრესსამსახური

◎ ელექტრონული ფული

მომავლის ვალუტა

ენციკლოპედიური **განმარტებით, ფული – ესაა განსაკუთრებული საქონელი, რომელიც ყველა დანარჩენი საქონლის საყოველთაო თანასწორღირებულების ფორმაა. ფულადი საქონლის სპეციფიკური თავისებურება ის გახლავთ, რომ იგი ნებისმიერი სხვა საქონლის ღირებულება, გაცვლის საყოველთაო საშუალებაა. კაცობრიობამ ფულის უამრავი სახეობა შექმნა – უძველეს დროსა და სხვადასხვა ხანაში მისი აუარება სახეობა არსებობდა, ჩვენს დროში კი ამ როლს ეროვნული ვალუტები ასრულებს. ლარი, დოლარი, ფრანკი, იენა, იუანი, გირვანქა სტერლინგი, რუბლი, დრამი, მანათი და ა. შ. აქამდე ყველა ქვეყანაში, ასევე საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში ანგარისწორების ფულადი საშუალებები იყო.** თუმცა, თანამედროვე ტექნოლოგიურმა ბუმმა წინა პლანზე ანგარიშსწორების ახალი ფორმა – კრიპტოვალუტა წამოწია, რომელიც კრიპტოგრაფიულ ალგორითმებზეა დაფუძნებული.

ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემებს შორის, რომ იტყვიან, „პირველი მერცხალია“ **ბიტკოინი,** რომელიც, ტრადიციული ვალუტებისგან განსხვავებით არსად არ იბეჭდება და მას არავინ აკონტროლებს. ბიტკოინს „მომავლის ფულს“ უწოდებენ, მისი ემისია კი მსოფლიოს მასშტაბით სისტემაში ჩართულ მრავალ კომპიუტერზეა დამოკიდებული, რომლებიც მონაცემებს საგანგებო პროგრამული უზრუნველყოფით ამუშავებენ.

ბიტკოინის, როგორც მათემატიკურ ალგორითმებზე დაფუძნებული ელექტრონული სისტემის შემქმნელი, იაპონელი პროგრამისტი სატოში ნაკამოტოა. სისტემის მთავარი იდეა ცენტრალური მარეგულირებელი ინსტიტუციებისგან დამოუკიდებელი ელექტრონული ვალუტის შექმნა იყო, რომლითაც ოპერაციები ძალიან დაბალი საკომისიო განაკვეთით შესრულდებოდა.

ელექტრონულ მიმოქცევაში არსებული ტრადიციული ვალუტების მსგავსად სხვადასხვა საქონლისა თუ მომსახურების შესაძენად ბიტკოინიც გამოიყენება, რომლის მთავარი უპირატესობაა მისი დეცენტრალიზაცია – არ არსებობს რომელიმე კონკრეტული ინსტიტუცია, რომელიც მის ქსელს გააკონტროლებს. ამით მომხმარებელი კომერციული ბანკებისგან უპრეცედენტო დამოუკიდებლობას იღებს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბიტკოინი არსად არ იბეჭდება, ამდენად, სახელმწიფო ეროვნული ბანკების მიერ სახელმწიფო დავალიანების მიზნით ჭარბად დაბეჭდილი ეროვნული ვალუტისგან განსხვავებით, არც მისი გაუფასურება შეუძლია, არც რომელიმე კონკრეტული ბანკის მიერ საკუთარ ნებაზე მართვა.

კრიპტოვალუტა ყველასთვის გახსნილად, ციფრული პრინციპით იქმნება, რომელსაც „მაინინგი“ ეწოდება. ბიტკოინები კი მომხმარებელთა კომპიუტერების გამოთვლითი სიმძლავრეების საშუალებით, სატრანზაქციო მონაცემების დამუშავების სანაცვლოდ მოიპოვება. აღსანიშნავია ისიც, რომ, ბიტკოინის პროტოკოლის თანახმად, ოდესმე მოპოვებული ბიტკოინების ოდენობა 21 მილიონს ვერ გადააჭარბებს – ერთი მონეტა უფრო მცირე ერთეულებად იყოფა: ცენტბიტკოინი– 0V01, მილიბოტკოინი – 0,001, მიკრობოტკოინი – 0,00001 და უმცირესი ნაწილი სატოში – ბიტკოინის ასმემილიონედი. ეს კი, არსებითად, ამოუწურავ პოტენციალს ნიშნავს.

საგულისხმოა ისიც, რომ თუ ჩვეულებრივი ვალუტა ოქროსა და ვერცხლის შემცველობაზეა დამყარებული, ბიტკოინი მათემატიკაზეა დაფუძნებული და სპეციალური ფორმულით მიიღება. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ფორმულა და პროგრამა ყველასთვის თავისუფლადაა ხელმისაწვდომი, მისი ნახვა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ნინო ალექსანდრია

◎ წერილი რედაქციას

დაგვიბრუნეთ №105 ავტობუსი!

რამდენიმე **წლის წინათ, ვაკის, ვერისა და მთაწმინდის რაიონის სხვადასხვა ქუჩის მცხოვრებლებს, ჩინებულ მომსახურებას უწევდა №105 ავტობუსი. იგი საშუალებას გვაძლევდა, დავკავშირებოდით ნავთლუღის სავაჭრო ბაზარს, სადაც შეგვეძლო, საკმაოდ შეღავათიან ფასებში შეგვეძინა პროდუქტები. გავიდა რამდენიმე წელიწადი და ჩვენი რაიონის მცხოვრებთა არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, თბილისის მერია დუმს. დავიღალეთ თხოვნითა და ზემო ინსტანციებში გაუთავებელი სირბილით. იქნებ ქალაქის მერმა, რომელიც ჩვენი უდიდესი მხარდაჭერით იქნა არჩეული აღნიშნულ თანამდებობაზე, გაითვალისწინოს დედაქალაქის მცხოვრებთა სამართლიანი თხოვნა-მუდარა და აღგვიდგინოს №105 მარშრუტის ავტობუსი.**

შალვა ქირია,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვეტერანი ჟურნალისტი.

მაისობა – სერიოზული გაფრთხილება ხელისუფალთათვის...



„მშვიდობა! შრომა! მაისი!“ – ეს ლოზუნგი სისხლხორცეულად უკავშირდება პირველ მაისს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

დიახ! საერთაშორისოს და არა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მთავარ დღესასწაულს. ვისვის და საბჭოეთს რომ ეზეიმა პირველმაისობა, გასაკვირი არ იყო, ვინაიდან მუშურ-გლეხური სახელმწიფო სწორედ ის იყო.

პირველმაისობა – ატაცებული ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის მიერ ევროპის ქვეყნებიდან, მრავალი ათეული წლის განმავლობაში გამოხატავდა მშრომელი ხალხის სულიერ განწყობას, იმედს უკეთესი ცხოვრებისთვის.

დაიშალა საბჭოთა კავშირი და ისტორიას ჩაბარდა გრანდიოზული დემონსტრაციები – გამართული საბჭოეთის დედაქალაქ მოსკოვში, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქში, უკიდეგანო საბჭოეთის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, სოციალისტური ბანაკის წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში.

დაიშალა საბჭოეთი, მაგრამ პირველმაისობა არ დაშლილა. ზოგს რომ ეს დღესასწაული, მარტო საბჭოური პირმშო ეგონა, ასე არ ყოფილა. პირველმაისობა საერთაშორისო დღესასწაული რომ არის, გასულმა პირველმა მაისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. დღესასწაული ვახსენე, მაგრამ ეს სიტყვა სრულიად შეუფერებელია დღევანდელ პირველმაისობასთან, ვინაიდან ის უფრო საპროტესტო დემონსტრაციაა, სახალხო, მშრომელი ადამიანის გულისწყრომის გამომხატველი – ხელისუფლების, სისტემის მიმართ. ის არ ხდება ხელისუფალთა ორგანიზებით. ის პროფკავშირების, პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების თაოსნობით ხდება.

ასე იყო წელსაც. კაცობრიობამ აღნიშნა პირველმაისობა და ისიც ითქვა, რომ წლევანდელი გაცილებით ხალხმრავალი იყო, გასულ წელთან შედარებით. ასეთი დასკვნა ტელეკომპანიებმა „ევრონიუსმა“, „ბი-ბი-სიმ“, სხვებმა გაახმოვანეს, რაც აშკარა ბარომეტრია იმ კრიზისული ეკონომიკურ-სოციალური ყოფისა, მთელს მსოფლიოს რომ აწუხებს.

წლევანდელი მოთხოვნა დემონსტრანტებისა არა მარტო უკეთესი ცხოვრების სურვილითაა გამოწვეული, არამედ ხელისუფლების უნიათო მუშაობით. პირველმაისობა სერიოზული გაფრთხილებაა ხელისუფალთათვის, რომ საქმისადმი არასათანადო ძალისხმევა უდავოდ გამოიწვევს მათ ცვლას.

საზღვარგარეთ ჩატარებული დემონსტრაციები ნათელი დასტურია იმისა, რა პასუხისმგებლობით ეკიდება იქაური მოსახლეობა როგორც საკუთარ ცხოვრებას, ისე ქვეყნის ყოფას. იქაურები, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობით დამუხტულები რომ განსხვავდებიან ჩვენგან, მტკიცება არ სჭირდება.

საზოგადოებრივი საქმე ღრმადაა გამჯდარი ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოში, რაც საშურია და მისასალმებელი. მაგრამ მარტო მისალმებით არაფერი გამოვა. საზოგადოება, რომელიც ვერ გრძნობს, როდის, რა შემთხვევაში, რა მასშტაბით გამოხატოს საკუთარი უკმაყოფილება მის მიერ არჩეულთა მიმართ, დაკვალიანებას საჭიროებს.

არადა, 23 წელიწადზე მეტია ვითომ დამოუკიდებლად ვცხოვრობთ და ამ არცთუ მცირე პერიოდში, რაც ვერ შევითვისეთ, სწორედ საჯარო გამოხატვის საკითხია. ამ წლების განმავლობაში საქართველოს არ აკლდა საჯარო გამოსვლები, მიტინგები, მსვლელობები, მაგრამ ყველა მათგანი უკიდურესობამდე, რევოლუციამდე მისული ხალხის რეაქცია იყო. მაგრამ არ იყო გამაფრთხილებელი, სხვა შინაარსისა და დატვირთვის მატარებელი დემონსტრაციები ისეთი, ევროპის ქვეყნებში რომ ხდება.

პირველი მაისის მთავარი დატვირთვაც ესაა – ხელისუფლების გაფრთხილება, გონს მოგება. ვინ უნდა ითავოს ეს საქმე? – ცხადია, პროფკავშირებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მაგრამ რაღაც მიზეზთა გამო, დღემდე გაურკვეველის, ისინი დუმან. დუმილის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, არის შიში – რუსეთუმეობა არ დამწამონო.

არადა, რუსეთი არაფერ შუაშია, ისე, როგორც კომუნიზმი, საბჭოთა კავშირი. თუ ევროპელობა გვინდა, ისიც უნდა გვინდოდეს, როგორ გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება საქვეყნო საქმეებისადმი; როგორ დავიცვათ საკუთარი თავი ხელისუფალთა აღვირახსნილობისგან; როგორ ვაიძულოთ ხელისუფლება შეიგნოს უმთავრესი – რომ ის ხალხის მიერ არის არჩეული და არა პირიქით.

ხალხის ინერტულობამ, დაურაზმაობამ ერთობ დიდი გასაჭირის წინაშე დააყენა ქვეყანა და თვით ხალხი.

ხელისუფლება ისე მოქმედებს, როგორც წინამორბედი ხელისუფლება - სრულიად დარწმუნებული იმაში, რაც არ უნდა დააშავოს, მას ხალხი პასუხს არ მოსთხოვს, არავინ შეედავება – სად წაიღე ფულიო. წინა ხელისუფლებისთვის ხომ პასუხი არვის მოუთხოვია?!

დამნაშავე ხელისუფლება ყველგან ისჯება. მითუმეტეს, ჩვენ რომ დემოკრატიულად აღვიქვამთ, ისეთ ქვეყნებშიც. რამდენი დამნაშავე ხელისუფალი იხდის საკადრის სასჯელს?! მაგრამ საქართველოს პოლიტიკოსთათვის ეს მაგალითი მაგალითი არ არის. ახალი ხელისუფლება წინას მფარველობს, რაც აშკარა და სავალალოა. ზოგიერთი ძველის დაჭერა სრულიადაც არ ნიშნავს სამართლიანობის გზით სვლას. ის უფრო საჩვენებელი დაჭერა და ხალხის წინაშე თავის მართლებაა – ხომ ვსჯითო.

ნაციონალური მოძრაობა რომ „კანონგარეშეა“ გამოსაცხადებელი, არაერთხელ გაჟღერებულა საჯაროდ ისე, როგორც ხალხის მოთხოვნა ლიდერების დასჯის თაობაზე, მაგრამ ამ მოთხოვნებისთვის ყური ხელისუფლებას არ დაუგდია. ის იმედოვნებს, რომ წინამორბედთა მიმართ ლოიალურობის გამოვლინებას, მათ მიმართ ახალი ხელისუფლების ლოიალურობა მოჰყვება. ძალაშია ხალხის ინდიფერენტიზმიც, რაც თავისთავად ხელისუფლებას საკუთარ დაუსჯელობაში არწმუნებს.

ეს რომ ასე არ იყოს, ხელისუფლება ვერაფრით იკადრებდა იმ უკადრებელს, რასაც კადრულობს. ეს რომ ასე არ იყოს, პრემიერ-მინისტრი თავს უფლებას არ მისცემდა თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე რესპუბლიკელი ხიდაშელი წარედგინა. აქ გენდერულ ცნებასთან არა გვაქვს საქმე, ვინაიდან რესპუბლიკელთა გასახარად ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მსგავსს სამინისტროს ქალები ხელმძღვანელობენ.

აქ გასათვალისწინებელია საყოველთაო არჩევნებში მოპოვებული დაბალი პროცენტები, რაც საშუალებას არ უნდა აძლევდეს რესპუბლიკელებს იყოლიონ რამდენიმე მინისტრი. დავუმატოთ ამას პარლამენტის სპიკერობაც, სხვა საპარლამენტო თანამდებობები და მივიღებთ ისეთ აბსურდს, საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებას რომ არ მოსწრებია – უპროცენტო პარტიის „ბაირამი“.

გარდა ამისა, პარლამენტის თავმჯდომარეს და მის მეუღლეს, თავდაცვის მინისტრს, პასუხი აქვთ გასაცემი იმ პუბლიკაციაზე, რომელიც უკრაინის მედიაში გაავრცელა უკრაინის პრეზიდენტის აპარატის პასუხისმგებელმა პირმა. საქმე ეხება ოჯახური დუეტის საიდუმლო შეხვედრას სააკაშვილთან. არადა, ქართული პრესა დაბეჯითებით ითხოვს ამ წყვილისგან შესაბამის პასუხს, რომელიც ჯერ არ ჩანს. ნაცვლად ამისა, ხელისუფლება, რომელიც თვით უნდა იყოს დაინტერესებული, კიევური ოინების სკანდალურ საქმეში გახვეულ პირს მინისტრად გვთავაზობს. რასა იქმს ხალხი?! – არც არაფერს.

ხელისუფლების უნიათო საქმიანობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, მაგრამ საყოველთაო, საჯარო, გამაფრთხილებელი გამოსვლა არ ჩანს. არადა, პირველ მაისს თუ ვინმე უნდა გამოსულიყო საყოველთაო გულისწყრომით და არა რევოლუციით, საქართველო უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, საკუთარი მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ა.შ. იქაურმა მაისობამ ხომ დიდი ყურადღება მიიპყრო? აქაურმა?

აქაური მხოლოდ ისაა, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრისას, ნაცნობს რომ უმალ ვუზიარებთ – რა ცუდი ცხოვრებაა, ან სახლში რომ გულს ვიხეთქავთ ხელისუფლების ცუდი მუშაობის გამო. როდესაც ხალხის მხრიდან რეაქცია არ ჩანს, ხელისუფლებაც ნავარდობს და ისეთ განცხადებებს აკეთებს, ნორმალურ მსმენელში რომ აუტანლობის შეგრძნებას იწვევს.

როდესაც ყოფილი პრემიერი თავს უფლებას მისცემს ხალხს განუცხადოს: „საქართველომ გასულ წელს მნიშვნელოვან ეკონომიკურ წინსვლას მიაღწია, გაცილებით მეტს, ვიდრე ევროპის ქვეყნებმაო“, – დაცინვაზე მეტია; როდესაც ხელისუფლებაში ელვის სისწრაფით იცვლებიან მინისტრები – ხალხთან შეკითხვის გარეშე, დაცინვაა და მეტი არაფერი; როდესაც ხალხს ჰპირდებიან – ამას გავაკეთებთ, იმას გავაკეთებთ, თქვენ მხარი დაგვიჭირეთო, დაცინვაა.

გაევროპელებულ ხელისუფლებას თავის გადარჩენის გარდა, არაფერი აწუხებს, მაგრამ ამ პროცესში რომ ქვეყანა ხელში ადნებათ, ვერ ან არ ხედავენ.

განა ღიმილის გამომწვევი არ არის პრემიერ-მინისტრის განცხადება: „რიგის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი, რისი მოსამზადებელი ვიზიტები სწორედ მომავალ კვირას არის დაგეგმილი: კვირიკაშვილი ბრიუსელში მიემგზავრება, კალაძე – გერმანიაში, წულუკიანი – საფრანგეთში, ბელგიასა და ესტონეთში, სუბარი – თურქეთში, ბერუჩაშვილი – გერმანიაში, ბელგიაში, თურქეთსა და სლოვაკეთში, ხადური – აზერბაიჯანში, გომელაური – გერმანიაში, ბაქრაძე – გერმანიასა და დანიაში“.

თითოეული მათგანის გამგზავრება რომ მხოლობით რიცხვში არ ხდება – მკითხველმა კარგად იცის. ისიც იცის, რომ ზემომოყვანილი არც ერთი პირი არ იკადრებს თვითმფრინავის ეკონომკლასით მგზავრობას, სამვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრებას ან ავტობუსით გადადგილებას.

უცხოური „ლაშქრობა“ ხომ მარტო ზემომოყვანილებით არ იწყება და მთავრდება, მათ პარლამენტარებიც, სხვა რანგის სახელმწიფო მოხელეებიც ემატებიან და გაფრინდა საქართველოს ბიუჯეტის საგრძნობი ნაწილი. ამ ფულზე არვინ არაფერს იტყოდა, მოგზაურობას რომ რამე მოჰქონდეს, გარდა მოხელეთა ორგანიზმის გალაღებისა.

მაინც რას ელოდება ხელისუფლება რიგის სამიტიდან? და რა იცის ხალხმა ამ სამიტის, ან აქამდე ჩატარებული სხვა სამიტის შესახებ? რა მოუტანეს იმ სამიტებმა საქართველოს ხალხს ან რას მოუტანს რიგის სამიტი?

ის, რომ რიგის სამიტი, ისე, როგორც ადრეული სამიტები, არაფრის მომტანია – ფაქტია. ხელშესახები, თანაც ისეთი, ხალხს რომ წაადგა ან წაადგება, არ ჩანს. ხალხს ეუბნებიან, რიგის სამიტზე თქვენი ბედი გადაწყდება, ევროპაში უვიზო მიმოსვლითო. მაგრამ ევროპა რომ საწინააღმდეგოს გვიცხადებს – მსგავსი რამ არ იქნებაო?!

ევროპელთა უარყოფითი განწყობის დადებითზე შეცვლის მცდელობაა ევროპისთვის საქართველოს მინისტრების შესევა – იქნებ უკვე მომზადებული უარი შეაცვლევინონ.

საქმისადმი რა პრიმიტიული მიდგომაა, რა ქართული დამოკიდებულებაა! ისე, კაცმა რომ თქვას, კონიაკით ან ღვინით საქმის ჩაწყობა თუ უნდოდათ, რაღა ევროპა-ამერიკის გზას ირჩევდნენ. ეს გზა საბჭოთა კავშირის დროს არჩეულიც იყო, ნაცადიც და აპრობირებულიც! მუხლებში ჩავარდნით და ბოთლით გაკეთებული საქმე, ვის სჭირდება?

ის, რომ რიგაში თავაზიანად უარს გვეტყვიან, თან შეგვაქებენ – კარგი ბიჭები ხართ, ჩვენი დავალებები რომ შეასრულეთო – ცხადზე უცხადესია, მაგრამ უვიზო მიმოსვლაზე ბოდიში! ან სჭირდება დღევანდელ საქართველოს უვიზო მიმოსვლა?

ქვეყანა, რომელიც სავიზო რეჟიმში განახევრდა და ყველა შრომისუნარიანმა თავი ევროპა-ამერიკას შეაფარა, რუსეთზე რომ არაფერი ვთქვათ, ფაქტია. რა იქნება უვიზო მიმოსვლის დროს? მგონი, ამ კითხვას პასუხი არ სჭირდება. საქართველოში ამბის მომტანიც არ დარჩება. მაგალითად, ბალტიისპირა სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაც კმარა. აი, რას წერს ალექსანდრე ნოსოვიჩი თავის წიგნში („ევროპის მივარდნილი გარეუბანი“): „დამოუკიდებლობის ორი ათეული წლის განმავლობაში ლიტვამ მილიონი მოქალაქე დაკარგა – იყო 3,7 მილიონი, დარჩა 2,7 მილიონი. ლატვიაში ცხოვრობდა 2,7 მილიონი ადამიანი, დღეს 26%-ით ნაკლები. ესტონეთში ცხოვრობდა 1,5 მილიონი, დარჩა 1,3 მილიონი“.

დღეს სამივე ქვეყნის 175 ათას კვადრატულ კილომეტრზე ცხოვრობს 6,1 მილიონი ადამიანი, მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობამდე 8 მილიონზე მეტი ცხოვრობდა. მოსახლეობის გადინება გრძელდება. ცარიელი ტერიტორია კი დიდხანს ცარიელი ვერ დარჩება. მას უდავოდ სხვა ქვეყნებიდან ჩასული ადამიანები დაიკავებენ. და ეს უნდა იცოდეს საქართველოს ხელისუფლებამ. იმ მწირი სტატისტიკის მიხედვით (დარწმუნებული ვარ შელამაზებული), საქართველოს მოსახლეობაც საგრძნობლად არის შემცირებული და 3 მილიონ ექვსას ათასს შეადგენს. თუმცა, აქედან რომ საგრძნობი ნაწილი აქ არის რეგისტრირებული, მაგრამ იქ ცხოვრობს, თანაც, კარგა ხანია, ფაქტია. და ეს ყველაფერი სავიზო რეჟიმის დროს მოხდა.

ასე რომ, ნაცვლად უვიზო რეჟიმისთვის უცხოეთში დაოთხილი სირბილისა, უმჯობესი იქნებოდა ქარხნების, საწარმოების გახსნა, ინვესტიციების მოზიდვა და ხალხის დასაქმება, უაზროდ მიღებული სავიზო კანონმდებლობის სასწრაფო შეცვლა. რახანია ამაზე ლაპარაკობს ხელისუფლება, მაგრამ საქმე არ ჩანს. ვერა და ვერ შეიტანეს ცვლილება კანონში. იქნებ ყველაფერი, რაც ხდება, შეგნებულად კეთდება?

იქნებ ვიღაც ევროპელი „ანგელოზი“ ჭკუას გვარიგებს, როგორ მოვიქცეთ ისე, რომ ნებაყოფლობით დავცალოთ საკუთარი ქვეყანა საკუთარი მოსახლეობისგან და გზა გავუხსნათ მშობლიურ მიწაზე სხვა ჯიშსა და ჯილაგს?

საქართველოს ისტორიაში არაერთხელ მომხდარა სხვათა ჩამოსახლება, მათ მიერ მიწების მისაკუთრება, ხოლო შემდეგ ასეთი განცხადება – მიწა იმისია, ვინც მას ამუშავებსო. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს თამარ კაბულოვას ხშირად უყვარდა ამ ფრაზის თქმა. მართალიც იყო, ვინაიდან ცარიელი ადგილი დიდხანს ვერ იქნება ცარიელი. მას სხვები დაეპატრონებიან, თან ჩვენზე უკეთ მოუვლიან. მერე კი, თითზე კბენანი – გვიან იქნება.

გაევროპელებულ ხელისუფლებას თავის გადარჩენის გარდა, არაფერი აწუხებს, მაგრამ ამ პროცესში რომ ქვეყანა ხელში ადნებათ, ვერ ან არ ხედავენ. ვერც ხელისუფლების შემქმნელი ივანიშვილი ხედავს იმ კატასტროფულ ვითარებას, რაც საქართველოშია. რაც შეეხება ხალხს, ერთობ უაზროდ მიჩერებულს ივანიშვილზე, ინდიფერენტულობა ეტყობა. ეს რომ ასე არ იყოს, რაღაცას მაინც იტყოდა პირველმაისობაზე, ისე, როგორც განვითარებული, დემოკრატიული ევროპის ხალხებმა თქვეს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

SIC!

კვლავ დაუსაბუთებლად გვითვალთვალებენ?!

კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ვიდეოთვალთვალის მიზნებს — ეს არის უსაფრთხოება; საკუთრების დაცვა; არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა და ა.შ. მაგრამ ამის მიუხედავად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი აცხადებს, რომ ხშირად ორგანიზაციები ვიდეოთვალთვალსა და ბიომეტრიულ კონტროლს დაუსაბუთებლად იყენებენ ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა დასაქმებულთა კონტროლი.

რატომ მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი და ბიომეტრიული კონტროლი და ვინ დგას ამის უკან, ამ თემებთან დაკავშირებით for.ge თამარ ქალდანს ესაუბრა.

— პარლამენტის პლენარულ სხდომაზე აღნიშნეთ, რომ ხშირად ორგანიზაციები ვიდეოთვალთვალსა და ბიომეტრიულ კონტროლს, როგორიცაა დასაქმებულთა კონტროლი, ეს პროცესი კანონის შესაბამისად არ მიმდინარეობს?

— კანონიერად რომ არ ხდება, იმიტომ წამოვწიე ეს საკითხი ანგარიშში და სპეციალური რეკომენდაციები მოვამზადეთ ვიდეოთვალთვალის შესახებ. მალე გამოქვეყნდება ჩვენი მეოთხე რეკომენდაცია ბიომეტრიულ მონაცემებთან დაკავშირებით. ბევრ კერძო და საჯარო ორგანიზაციაში დამონტაჟებულია ვიდეოთვალთვალის კამერები. კანონი ასეთი კამერების გამოყენებას არ კრძალავს, თუმცა, იქვე განმარტებული, რა მიზნით შეიძლება ამ კამერების გამოყენება.

კანონი განსაზღვრავს მიზნებს და მხოლოდ ამ მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება, გამოყენებული იქნას როგორც ვიდეოთვალთვალის სისტემები, ასევე, ბიომეტრიული მონაცემები. სამწუხაროდ, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ხშირად ორგანიზაციები ვიდეოთვალთვალსა და ბიომეტრიულ კონტროლს დაუსაბუთებლად იყენებენ ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა დასაქმებულთა კონტროლი. ჩვენთან კონსულტაციების შედეგად ცალკეულმა ორგანიზაციებმა მანკიერი პრაქტიკა შეწყვიტეს.

— უკანონო ვიდეოკონტროლის საკმაოდ ცუდი გამოცდილება გვაქვს. მოქალაქე, რომელიც მუშაობს კერძო თუ საჯარო სექტორში, რა გარანტია აქვს, ან რამდენად დაცული არიან იმისგან, რომ ეს ჩანაწერი კანონსაწინააღმდეგოდ არ იქნება გამოყენებული?

— იმისათვის, რომ კანონსაწინააღმდეგოდ არ იქნას გამოყენებული, პირველ რიგში, მისი დაყენება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნებისთვის. ორგანიზაციებმა უნდა გააფრთხილონ ყველა თანამშრომელი მიმდინარე ვიდეოკონტროლის შესახებ, ასევე შენობებში განთავსებული უნდა იყოს გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ ადამიანმა იცოდეს, რა დროს ხდება ის ვიდეოკონტროლირებად ტერიტორიაზე და როდის — არა. ასევე, აუცილებელია მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრა, რადგან, ვადის გასვლის შემდეგ ეს ჩანაწერები უნდა იშლებოდეს და ამ ჩანაწერებზე წვდომა შეზღუდული უნდა იყოს.

— სამართლებრივი კუთხით როგორ შეიძლება შეიცვალოს ეს მავნე პრაქტიკა?

— ჩვენთან კონსულტაციების შედეგად ცალკეულმა ორგანიზაციებმა მანკიერი პრაქტიკა შეწყვიტეს და თანამშრომლებიც გააფრთხილეს მიმდინარე კონტროლისა და მათი უფლებების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთდა და დამტკიცდა, რომ ორგანიზაციას სხვა საშუალებით შეეძლო იმავე მიზნის მიღწევა და ამ კონტროლს კანონთან შეუსაბამოდ იყენებს, ასეთ შემთხვევში სასამართლოსაც და ინსპექტორსაც აქვთ შესაბამისი ბერკეტის საშუალება — ჯარიმა.

— იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებას გაცხადებული აქვს, უკანონო მოსმენა და თვალთვალი არ მიმდინარეობსო, მოქალაქეები სატელეფონო მოსმენებზე ისევ საუბრობენ. ამ პრობლემით თუ მოგმართავენ მოქალაქეები?

— ჩვენ ვცდილობთ, რომ მთავარ პარტნიორად მოქალაქეები გავიხადოთ, რომელთა ინტერესების დასაცავად შეიქმნა ჩვენი ინსტიტუტი. რაც შეეხება უკანონო მოსმენას, ძალიან მნიშვნელოვანია, გამიჯნული იქნას კომპეტენციები, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია, რომელი ორგანო რა კომპეტენციას ფლობს და რაზეა პასუხისმგებელი. ჩვენ, კანონმა განგვისაზღვრა ჩვენი როლი, როგორიც არის მონიტორინგი.

თუ ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მოსმენა ან თვალთვალი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ხორციელდება, რა თქმა უნდა, ამაზე გვექნება რეაქცია, უზრუნველვყოფთ იმას, რომ შეწყდეს სატელეფონო მოსმენა. დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ვალდებულება გვაქვს ვაცნობოთ პროკურატურას. ნებისმიერი ასეთი ფაქტი უნდა გამოიძიონ საგამოძიებო ორგანოებმა.

თამთა ძარჩავა

ძეგლის ახალი სიცოცხლე

ძველი ტაძრების რესტავრაციას მომღერალ შადრევნებს ამჯობინებდნენ

თავის დროზე, არქეოლოგიური გათხრების დროს, უძველესი ადამიანის ნეშთების „ზეზვასა“ და „მზიას“ აღმოჩენამ ყოფილი ხელისუფლება აღფრთოვანებაში მოიყვანა — ჩვენ უძველესი წარმოშობის ადამიანთა შთამომავლები ვართო. მაგრამ დმანისის მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენების შემდეგ ძეგლების კვლევა-რესტავრაციის კუთხით ბევრი არაფერი გაუკეთებიათ. პირიქით, „დიდი არქიტექტორის“ — ჩვენი „მაღალის“ ნება-სურვილით გაკეთებულმა სარესტავრაციო სამუშაოებმა ბაგრატის ტაძარს მსოფლიო მემკვიდრეობის ისტორიული ძეგლის სტატუსი დააკარგვინა. არ დასცალდათ, თორემ იგივე დღეში ჩააგდებდნენ ისტორიული ქალაქის სტატუსის მქონე მცხეთას. ნაციონალების ხელისუფლებამ უსახური შენობებისა და მონუმენტების (ველოსიპედი) სანაცვლოდ დაფინანსებები შეუწყვიტეს ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, შეწყდა კვლევითი სამუშაოები, გათხრები... აღდგენა-რესტავრაციაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ინგრეოდა და იშლებოდა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის სიძველეები. მათ ბედს იზიარებდა გეგუთის ისტორიული კომპლექსიც.

თავის დროზე, 1833 წელს გეგუთის სასახლის მნიშვნელობა შეაფასა შვეიცარიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ, სასახლის გადარჩენილი ნაწილის გეგმის შესწავლის შედეგად განსაზღვრა ცალკეული სათავსების ფუნქცია. მაგრამ ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ყველაფერი ქართული იდევნებოდა და ნადგურდებოდა. გეგუთის სასახლეს აგურებად შლიდნენ და ქუთაისში ჩინოვნიკების სახლებს აშენებდნენ.

გეგუთს ქართველი მეცნიერები 1937 წელს მიუბრუნდნენ. პროფესორმა მუსხელიშვილმა არქიტექტორ წილოსანის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური სამუშაოები წამოიწყო. მაგრამ იმ პერიოდის თბილისელი „ნამესტნიკის“ განკარგულებით მუშაობა დაუფინანსებლობის გამო ერთ წელიწადში შეწყდა. მაგრამ იმ პერიოდში მოესწრო ისეთი დეტალების გარკვევა, რომლებიც აქამდე უცნობი იყო. დადგინდა, რომ თამარის ეპოქის სასახლედ მიჩნეული ნაგებობა ბევრად უფრო ადრეული იყო. ისიც გაირკვა, რომ დავით აღმაშენებელი ნადირობის შემდეგ გეგუთში ჩადიოდა დასასვენებლად, ქუთაისის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორისა და არქეოლოგიის დოქტორის როლანდ ისაკაძის თქმით, ამ კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე ძველი, ბუხრიანი ოთახი მერვე საუკუნის იყო. სწორედ მის გარშემოა გაშენებული შემდგომ სასახლე. მის ნათქვამს ეხმიანება ისტორიკოსი ჯემალ ებანოიძეც, რომელიც ამბობს, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში სასახლე სწორედ მერვე საუკუნით თარიღდება. მას მიაჩნია, რომ გეგუთის კომპლექსი საქართველოს ფეოდალური ხანის სამეფო ტიპის სასახლეებს შორის, ერთადერთი კარგად შემონახული ძეგლია.

კიდევ ერთი ეტაპი კვლევებისა, 1951-1962 წლებს უკავშირდება. ამ დროს, პროფესორ ვახტანგ ცინცაძის ხელმძღვანელობით სასახლის თითქმის ყველა სათავსი გაიწმინდა. ეროვნულ მუზეუმში გადაიტანეს გეგუთში აღმოჩენილი 80-მდე ნივთი. დადგინდა, რომ სასახლეში აღმოჩენილია თამარის პერიოდზე უფრო ძველი შრეები. „თამარ მეფის ოთახი“ დაახლოებით მეექვსე საუკუნის აგურის მასალით, ე.წ. „კასტელათია“ ნაშენები. მაგრამ შემდგომ კვლევებს უფრო შორს მივყავართ. მათ ქვეშ აღმოჩენილია ძველი ციხე-სიმაგრის ნაშთები, ისინი ქვითაა ნაშენები. ისტორიკოსების ვარაუდით, ეს ციხე-სიმაგრე მეოთხე საუკუნეში უნდა იყოს აშენებული, რომელიც თავის დროზე ქუთაისისთვის ერთგვარ დამცავ ჯებირს წარმოადგენდა, მტერი მის გაუვლელად ვერ შეაღწევდა.

გეგუთის ახალი მნიშვნელობა

თავის დროზე მეცნიერებმა არაერთგზის მიმართეს თხოვნით მთავრობას, პარლამენტს, პრეზიდენტ სააკაშვილს, რათა გამოეძებნათ სახსრები გეგუთის უძველესი სასახლის არქეოლოგიური კვლევებისათვის. მიმართვის ავტორები არქეოლოგები, არქიტექტორები, ისტორიკოსები, თვით ფინანსისტებიც კი უმტკიცებდნენ ზემდგომებს ამ ძეგლის უდიდეს მნიშვნელობას ყველა ასპექტში. მაგრამ „ვარდოსნებს“ ისტორიულს ნაღდი მომღერალი შადრევნები, დრომოჭმული მსახიობები და რეჟისორები, ბელადის გმირობაზე (იგულისხმება სააკაშვილი) გადაღებული მრავალმილიონიანი ფილმები და ა. შ. ერჩივნათ.

ახალმა ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად დაიწყო ზრუნვა ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა-რესტავრაციაზე. მათ შორის, გეგუთზეც. წელს გეგუთის სასახლის არქეოლოგიური და კვლევითი სამუშაოები განახლდება, რაც არქიტექტორ-რესტავრატორებს სამუშაოების სწორად წარმართვის შესაძლებლობას მისცემს. სასახლე განვითარების ახალ ფაზაში გადადის. ზაფხულში ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლიდან მრავალ სიახლეს ველით, — აცხადებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნათია მურაჩაშვილი.

ამ სეზონში დაგეგმილია არქეოლოგიური კვლევები, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს იქნება ერთგვარი დაზვერვა იმისა, თუ რა საიდუმლოს ინახავს ეს მისტიკური სასახლე, — აცხადებს ქუთაისის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი. მისი გადმოცემით ამ სეზონზე 15-მდე თხრილი უნდა გაკეთდეს, რაც დამატებით ძველი არტეფაქტებისა და ეკლესიის ნაშთების აღმოჩენის საშუალებას იძლევა.

გეგუთთან დაკავშირებით თავისი დასკვნები აქვთ ფინანსისტებს, ეკონომისტებს, ძირითადად, ტურიზმის განვითარების მხრივ. საქმე ის არის, რომ სასახლის სამხრეთის ნაწილიდან 300 მეტრში ავტობანია. ვინაიდან დღეს ძეგლი განათებულია და ასე იქნება შემდეგშიც, უცხოელ გამვლელს ის ღამითაც შეუძლია ნახოს. ამასთანავე, სასახლე ქუთაისის მთავარ შესასვლელ გზას უკავშირდება დასავლეთის მხრიდან, ანუ იკვრება ერთგვარი რკალი. ამ ტერიტორიაზე უკვე დარეგისტრირებულია ფართი, სადაც შესაძლებელია ტურისტების დასასვენებელი ადგილის, კარვებისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც ადგილობრივებსა და, რაც მთავარია, ძეგლს, დამატებით შემოსავალს მოუტანს, — აცხადებს საქმეში ჩახედული ხალხი.

ზაზა გილიხოძე

დედამიწის ზურგზე

ძმებ ნავალნებს ევროპის ხსოვნისა და პატიოსნების პლატფორმის პრემიები მიანიჭეს

ევროპის ხსოვნისა და პატიოსნების პლატფორმა შეიქმნა 4 წლის წინათ და თითქმის ორი ათეული ქვეყნის ისტორიკოსებსა და სამართალდამცველებს აერთიანებდა. ამ ორგანიზაციაში ოლეგ ნავალნის პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევენ. ალექსეი ნავალნის კი მხარს უჭერენ „მისი ბრძოლისათვის კორუფციასთან და პლურალიზმის დაცვაში რუსეთის ფედერაციაში ავტორიტარული რეჟიმის პირობებში“.

ობამა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელს ცვლის

კომიტეტის ახალი თავმჯდომარე გახდება 59 წლის გენერალი ჯოზეფ დანფორდი, რომელიც ამჟამად საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსს მეთაურობს. დანფორდი საზღვაო ქვეითი ჯარებს მეთაურობს 2014 წლის ოქტომბრიდან, მანამდე კი ორი წლის განმავლობაში ის სათავეში ედგა ავღანეთში უშიშროების მხარდაჭერის საერთაშორისო ძალებს.

ბელარუსმა ფრინველის გრიპის გამო აკრძალა ფრინველის შემოყვანა ასტრახანის ოლქიდან

ბელარუსის სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ რუსეთის ასტრახანის ოლქის ტერიტორიაზე დარეგისტრირებულია ფრინველების დაავადების შემთხვევები მაღალპათოლოგიური გრიპით და გამოაცხადეს 5 მაისიდან შეზღუდვების შემოღების შესახებ. შეზღუდვები შეეხება ასევე ზოოპარკებისა და ცირკის მგრძნობიარე და ფაქიზ ცხოველებსა და ინკუბაციურ კვერცხებს.

ამერიკის შეერთებული შტატები ამოწმებს ინფორმაციას საუღის არაბეთის მიერ იემენში კასეტური ბომბების გამოყენების შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამერიკული კასეტური საბრძოლო იარაღის უცხოელი მიმღებები კისრულობენ ვალდებულებას გამოიყენონ ისინი მხოლოდ მკაფიოდ გამოხატული სამხედრო მიზნებისათვის. ამერიკის ხელისუფლება გულდასმით სწავლობს ანგარიშს კასეტური ბომბების გამოყენების შესახებ იემენში.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ბიბილოვის სააკიანთან შეხვედრა შემთხვევითი იყო?

საქართველოსა **და სომხეთს შორის სკანდალი მწიფდება. ოფიციალური თბილისი ამოწმებს გავრცელებულ ინფორმაციას სომხეთის ეროვნული კრების სპიკერის შეხვედრის შესახებ სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარესთან. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეხვედრა მართლაც ატარებდა ოფიციალურ ხასიათს, საქართველოს ხელმძღვანელობის რეაქცია „იქნება ადეკვატურად მკაცრი“, დაგვპირდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.**

ინფორმაცია შეხვედრის შესახებ, რომელმაც ასე აღაშფოთა ოფიციალური თბილისი, გაჩნდა საქართველოს ხელისუფლების მიერ გაუკონტროლებელი რეგიონის საკანონმდებლო ორგანოს საიტზე ჯერ კიდევ ორი დღის წინათ. საკითხი შეეხება სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ანატოლი ბიბილოვის ვიზიტს მეორე თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში — მთიან ყარაბაღში.

სამხრეთ ოსეთის მხარემ გვაცნობა, რომ ამ ვიზიტის ფარგლებში ბიბილოვი ასევე შეხვდა სომხეთის ეროვნული კრების სპიკერს გალუსტ სააკიანს, რომელზეც განიხილეს „ორმხრივ ურთიერთობათა განვითარების აქტუალური საკითხები“. ამას გარდა, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის საიტზე ნათქვამი იყო, რომ მხარეებმა „მოილაპარაკეს კვლავაც იქონიონ სამუშაო კონტაქტები საერთაშორისო ურთიერთობათა შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით“. შეხვედრის დადასტურებაა ფოტოგრაფია, რომელმაც აღბეჭდა ერთად ბიბილოვი და სააკიანი.

გუშინ ამას მოჰყვა პირველი განცხადება თბილისიდან. და უმალვე ამას ახლდა დიპლომატიური სკანდალის ელფერი. საქართველოს საგარეოპოლიტიკური უწყების სპიკერმა დავით კერესელიძემ გვაგრძნობინა, რომ თბილისი ამ ინფორმაციას მოეკიდა მეტად სერიოზულად. შეხვედრის ვითარებათა გამოვლენის პროცესში ჩართულია სომხეთში საქართველოს საელჩოც, განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა.

„ჩვენ ვცდილობთ გამოვარკვიოთ, რამდენად შეესაბამება სიმართლეს გავრცელებული ინფორმაცია. ცნობილია, რომ შეხვედრისა და იმ თემების შესახებ, რომლებსაც ამ შეხვედრის დროს განიხილავდნენ, იტყობინებიან მხოლოდ სამხრეთ ოსეთის წყაროები. თუ ინფორმაცია დადასტურდება, ჩვენ, რასაკვირველია, მოვახდენთ ადეკვატურად მკაცრ რეაგირებას იმ მექანიზმების დახმარებით, რაც ხელთ გვაქვს. რეაქცია იქნება აუცილებლად“, — დაგვპირდა კერესელიძე.

მაგრამ დიპლომატიური სკანდალი საქართველოსა და სომხეთს შორის შეიძლება, ჩაქრეს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იგი გაჩაღდებოდეს. გუშინ სომხეთის ეროვნული კრების პრესსამსახურმა განაცხადა, რომ სააკიანისა და ბიბილოვის შეხვედრას, მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი „ატარებდა მხოლოდ და მხოლოდ კერძო ხასიათს და არანაირი ოფიციალური საკითხები მასზე არ განხილულა“. უკან დაიხია სამხრეთ ოსეთის მხარემაც. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტის საიტზე ტექსტი შეიცვალა, გალუსტ სააკიანის შესახებ ყველა ხსენება გაქრა მის ფოტოსურათთან ერთად. ახალი ამბის ქვეშ მთიან ყარაბაღში ბიბილოვის ვიზიტის შესახებ გაჩნდა მითითება რომელიღაც „უზუსტობის შესახებ“ ადრე გავრცელებულ ინფორმაციაში, რისთვისაც საიტი ბოდიშს იხდის. მოგვიანებით კი, სომხეთის მთელი რიგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სულაც დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ს

◎ კალათბურთი

ომის პარტიის სახელით!

არ მინდა თქვენი თამაში, ომი და აგრესია მაჩვენეთო – ევედრებოდა შეგირდებს „სოხუმის“ თავკაცი ვაჟა კვარაცხელია შსს აკადემიის გუნდთან თითქმის უიმედოდ წაგებული შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე აღებული წუთშესვენებისას (აღნიშნულ ეპიზოდში ტაბოლოზეა 58:72 ენთო).

ამ სიტყვებმა ზღვისპირელებზე ჯადოსნური ჯოხის აქნევასავით იმოქმედა – მატჩის განახლებისთანავე „პელემ“ და ჩლაიძემ ზედიზედ 5(!) სამქულიანით დასეტყვეს ფავორიტის კალათი და სუპერლიგის მეოთხედფინალური პლეი-ოფის სტარტზე მოპოვებული ზღაპრული გამარჯვებით – 81:78 სერიაში პარტნიორები დააწინაურეს – 1:0.

მოვლენათა ასეთი განვითარება განსაკუთრებით ძნელად სავარაუდო მას შემდეგ გახდა, რაც ჯერ კიდევ პირველ ტაიმში სტუმართა ძირითად გამთამაშებელს ბაკაშვილს წარბი გაუსკდა, ჩინებულ კონდიციებში მყოფ ბექაურს კოჭი გადაუბრუნდა, ხოლო შვანგირაძესა და ჯგერენაიას შორეული და საშუალო დისტანციებიდან ტყორცნები არ წაუვიდათ.

რაც შეეხება ძალოვნებს, თითქოს ღირსეული პირადი მონაგრით დაამთავრეს დუელი ცინცაძემ, შარაბიძემ, მეტრეველმა, როგავამ და ლონდარიძემ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში არც ერთს არ აღმოაჩნდა ლიდერის თვისებები, რაც ყველაზე უფრო ფასობს ნერვების ომში, თანაც ამჯერად უჩვეულოდ პასიურობდნენ წივწივაძე და ჩიკვილაძე.

სენსაციის სუნი ტრიალებდა ჰაერში რეგულარული სეზონის უძლიერესი კლუბის თბილისის „დინამოსა“ და „არმია – მგზავრების“ უთანასწორო ბრძოლის ფინიშზეც, რომელიც გამყრელიძე – ლეჟავას (ეს უკანასკნელი თამაშის წინ ვაჟის მამა გახდა) დარტყმული დუეტის ძალისხმევით ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონებმა მოიგეს – 84:82 (1:0). კვანძი შეიძლებოდა 74:77-ზე გახსნილიყო, მაგრამ სწრაფი კონტრშეტევისას აუტსაიდერთა ამერიკელმა ლეგიონერმა მაკქერიმ საბედისწერო გარბენი გააკეთა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მატჩის ბედი.

„რუსთავი“ – „ოლიმპი“ 78:75 (1:0). მასპინძლები ბოლო პერიოდის წინ 6 ქულით ჩამორჩებოდნენ მეტოქეს, მაგრამ დვალიშვილმა (16 ქულა) და ოგლსბიმ (12 ქულა) კრიტიკულ ვითარებაში გაიბრწყინეს და სერიაში ქვემოქართლელები დააწინაურეს.

* * *

ვთბ – ლიგა. პლეი-ოფი. ცსკა – „ასტანა“ 110:60 (1:0). მანუჩარ მარკოიშვილმა არმიელებს 18 ქულა შესძინა.

* * *

ნბა. პლეი-ოფი. „კლივლენდი“ – „ჩიკაგო“ 92:99 (0:1), „ჰიუსტონი“ – „ლოს-ანჟელეს კრიპერსი- 101:117 (0:1).

დასახელდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული სეზონის ყველაზე ფასეული მოთამაშის ვინაობა. წლეულს ასეთად „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ გამთამაშებელი სტეფ კარი მიიჩნიეს, რომელიც არანაკლებ გამორჩეული ვარსკვლავების ჯეიმს ჰარდენის, რასელ ვესტბრუკის, კაირ ირვინგისა და თვით „მეფის“ – ლებრონ ჯეიმსის კანდიდატურებს ამჯობინეს.

დავძენთ, რომ უკანასკნელად „გოლდენ სტეიტის“ მაისურით ასეთი აღიარება ლეგენდარულ უილტ ჩემბრელენს შორეულ 1960(!) წელს ხვდა წილად.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ☗ადრაკი

მედლებიც, საგზურებიც

10, 14 და 18 წლის გოგო-ბიჭები მონაწილეობდნენ მარნეულში გამართულ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაში, რომელსაც სამივე სინჯის მედლების მფლობელებთან ერთად იმათი ვინაობაც უნდა გაერკვია, მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე ვინ წავიდოდა. 9-ტურიანი ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

10-წლიანები. ბიჭები. 1. ჯაბა ადამია (7), 2. საბა ლომსაძე (6,5), 3. ლევან დალბაშვილი (6,5). **გოგონები.** 1. დიანა ლომაია (8,5), თამარ თასოშვილი (7), ლილე გუმბერიძე (6).

14-წლიანები. ბიჭები. 1. ნიკოლოზ პეტრიაშვილი (7,5) 2. ნიკა ხვადაგიანი (6,5), 3. მათე თოდაშვილი (6,5). **გოგონები.** 1. ლილე ქორიძე (7), 2. მაია ბეჭვაია (6,5), 3. თამარ ესაძე (6).

18-წლიანები. ვაჟები. 1. ნოე თუთიანი (8), ირაკლი კელაპტრიშვილი (7,5), 3. ილია ხელაძე (6), **გოგონები.** 1. მარიამ ჭოლაძე (8), ნინო ხომერიკი (8), მარიამ ჯავახიშვილი (6).

გამარჯვებულები მსოფლიოს, ხოლო მეორეადგილოსნები ევროპის პირველობაზე მოსინჯავენ ძალებს.

გივი გაგუა

◎ მსოფლიო რბენის დღე

ისევ ლინდა და ტოლია

უკვე გაუწყებთ, რომ მსოფლიოს 33 ქვეყნის 100.000-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა Wing for World Run 2015-ში. შარშან მსგავს ღონისძიებაში საქართველოდან 3000 ადამიანი დარეგისტრირდა, ხოლო წლეულს მათმა რაოდენობამ 5000-ს მიაღწია. მსოფლიო რბენის დღე საქველმოქმედო ღონისძიებაა და შემოსული თანხა მთლიანად ერიცხება Wings for Life-ის ფონდს, რომელიც ზურგის ტვინის დაზიანების სფეროში ატარებს კვლევებს. 33-მა ქვეყანამ ამ ფონდში 2015 წლის 3 მაისს 4.2 მილიონი ევრო გადარიცხა, ანუ შარშანდელთან შედარებით 1.2 მილიონით მეტი.

მსოფლიო რბენა უნიკალურია იმით, რომ განუსაზღვრელია ტრასის მანძილი და დრო, არ არსებობს ფინიშის ხაზი და მას ენაცვლება სპეციალური „ფინიშმანქანა“, რომელსაც წლეულს ცნობილი ავტომრბოლი მევლუდ მელაძე მართავდა. მანქანამ სტარტიდან 30 წუთში დაიწყო მოძრაობა 15 კმ/ს-20 კმ/ს-25 კმ/ს სიჩქარით ლოპოტის გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გასწვრივ. „ფინიშმანქანა“ როგორც კი გადაუსწრებდა მორბენალს, ის ავტომატურად ეთიშებოდა შეჯიბრებას. ჩვენს ღონისძიებაში ქალთაგან შარშანდელი ჰოლანდიის რბენის გამარჯვებული ლინდა ვან ვლიეტი იყო პირველი – „ფინიშმანქანის“ წამოწევამდე 32,01 კილომეტრი გაირბინა. ვაჟებში ამჯერადაც ლაგოდეხელმა ანატოლი ოლეინიკოვმა აჯობა ყველას – 57,39 კილომეტრი დაფარა, ანუ შარშანდელ საკუთარ მიღწევას ხუთი კილომეტრით გადაამეტა. მსოფლიოს მასშტაბით კაცებში კვლავ ეთიოპიელმა ლეამოუორკ კეტემამ (79.9 კმ), ქალებში კი 27 წლის იაპონელმა იუკო ვატანაბემ (56,33 კმ) გაიმარჯვეს.

ლექსო ცინცაძე

◎ მხატვრული ტანვარჯიში

ათი ნაბიჯით წინ წაიწია

ბელარუსის დედაქალაქ მინსკში დამთავრდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 28 ქვეყნის 74 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ სალომე ფაჟავა, ნათელა ბოლოტაევა და ლიანა ცეცაძე. შარშანწინ მსგავს შეჯიბრებაში ფაჟავამ მრავალჭიდში მე-18 ადგილი დაიკავა და ცალკეული საგნებით ვერც ერთ ფინალში ვერ მოხვდა, ამჯერად კი მრავალჭიდში 52.883 ქულით მე-8 იყო და მთელი 10 ადგილით წაიწია წინ. კვარცხლბეკზე ადგილები ასე განაწილდა: 1. მარგარიტა მამუნი (რუსეთი, 56.666), 2. იანა კუდრიავცევა (რუსეთი, 55.599), 3. მელიტინა სტანიუტა (ბელარუსი, 55.283). რაც შეეხება ცალკეული საგნებით ასპარეზობას, ფინალში **რგოლით** ვარჯიშისას არბიტრებს მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, ფაჟავა 17.883 ქულით მესამე ადგილზე გავიდოდა, ის კი მე-4 ადგილს დაკარგავდა. მესამე იყო ბელარუსი კატსიარინა ჰალკინა (17.950). „ოქრო-ვერცხლი“, შესაბამისად, მამუნმა (19.000) და სტანიუტამ (18.500) გაინაწილეს. დანარჩენ საგნებში: **ბურთი.** 1. კუდრიავცევა (19.066), 2. მამუნი (18.950), 3. სტანიუტა (18.466)... 6. ფაჟავა (17.133). **გურზები.** 1. კუდრიავცევა (19.116), 2. ჰანა რიზატდინოვა (უკრაინა, 18.400), 3. ჰალკინა (18.033)... 7. ფაჟავა (17.666). **ლენტი.** 1. კუდრიავცევა (18.900), 2. სტანიუტა (18.133), 3. მარინა დურუნდა (აზერბაიჯანი, 18.000)... 6. ფაჟავა (17.716). გუნდურში საქართველოს ნაკრებმაც მე-8 ადგილი დაიკავა და უმაღლეს ეშელონში გადაინაცვლა.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

„ინტერმა“ ძანეტის 4-ნომრიანი მაისური უკვდავყო

მილანის „ინტერის“ ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, „სან სიროზე“ მოქმედი და ყოფილი ცნობილი ფეხბურთელების მონაწილეობით საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, სადაც კლუბმა „ნერაძურის“ ლეგენდის ხავიერ ძანეტის 4-ნომრიანი მაისური უკვდავყო. ამიერიდან „ინტერის“ არც ერთ ფეხბურთელს 4 ნომრით თამაში არ შეეძლება.

არგენტინის ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი იტალიური გრანდის რიგებში 1995 წლიდან 2014 წლის ზაფხულამდე თამაშობდა, 858 ჩატარებულ შეხვედრაში კი ნახევარმცველმა 21 გოლი გაიტანა. ამჟამად სამხრეთამერიკელი „ინტერის“ ვიცე-პრეზიდენტია.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

რაფაელა, მარიო და...

თავისი სარეცელი ლაშა-გიორგისაც კი არ გაუვსია სიძვის დიაცებით ისეთი მონდომებითა და გულმოდგინებით, როგორც ამას მუქკანიანი იტალიელი ფეხბურთელი მარიო ბალოტელი აკეთებს. მარიოს საყვარელმრავლობა მის ყოფილ გულისსწორებსაც კი უშლის ნევრებს.

ცნობილი მოდელი რაფაელა ფიკო, რომელსაც მარიო ბელოტელისგან შვილიც კი ჰყავს, თურმე საკუთარი თავის განსაკუთრებულად უკმაყოფილოა იმის გამო, რომ თავის დროზე მარიო სულ სხვანაირი ადამიანი ეგონა და ვერც კი ხვდებოდა, რომ მარიოს შავტუხა სხეულის უკან სექს-არამზადა იმალებოდა.

სატრფოსთან განშორების შემდეგ განაწყენებული ქალების ამბავი ყველამ კარგად ვიცით და მათგან მწარე-მწარე ფრაზების სროლაც არაა ახალი ამბავი მაგრამ თეთრყირმიზა რაფაელას მხრიდან ეს მაინც ცოტა უცნაურია, რადგან არც იგი ყოფილა ბოლონიის მონასტრის მონაზონი და მასაც იმდენი სატრფო ჰყავს გამოცვლილი,თბვენი მოწონებული.

სთოუნჰენჯის რიტუალური „ოჯახი“

დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უძველესი რიტუალური ძეგლის სთოუნჰენჯის მახლობლად, ადგილობრივმა არქეოლოგებმა 17-მდე უცნობი ასევე რიტუალური ნაგებობა აღმოაჩინეს.

გეორადარებისა და მაგნიტომეტრების მეშვეობით, მეცნიერებმა რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ქვის წრეებს, პატარ-პატარა საყდრებსა და რამდენიმე განამარხებას მიაგნეს. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ სთოუნჰენჯის ქვის ცენტრალური კომპლექსი კიდევ 60 სხვა რიტუალურ ადგილთან იყო დაკავშირებული.

კიბორგების სამყარო

ახლო მომავალში კაცობრიობას, პროგრესის წყალობით, საუცხოო ჯანმრთველობა და მაღალი ინტელექტი ექნება. მაგრამ, სწორედ ამის გამოა, რომ ბევრი სპეციალისტი სვამს კითხვას — ხომ არ გახდებიან ზომბებივით მართულები?

ცოტა ხნის წინათ ამერიკელმა მეცნიერებმა საჯაროდ წარადგინეს მოწყობილობა, რომელიც ასი პროცენტით თვალისჩინდაკარგულ ადამიანებს... მხედველობას უბრუნებს! საქმე ისაა, რომ **ეს მოწყობილობა გამოსახულებას ვიდეოკამერიდან უშუალოდ ქალა ტვინის ქერქზე მხედველობის სისტემის სხვა ელემენტების — თვალების, ნერვებისა და ა. შ. — გვერდის ავლით გადასცემს.** მეტიც: ხელსაწყო ეგრეთ წოდებულ „დამატებით რეალობას“ ქმნის — იგი უშუალოდ ადამიანის თავის ტვინში „ვირტუალურ დისპლეიზე“ გარემოს შესახებ ცნობებს გადასცემს, რომლებიც მას ადგილმდებარეობას, ამინდს, სხვადასხვა ობიექტამდე დაშორებასა და სხვ. ატყობინებს.

ნეტარ არიან მორწმუნენი...

ცნობილი რუსი გეოგრაფი, ნიკოლაი მიკლუხო-მაკლაი, რომელმაც სახელი მოგზაურობებში გაკეთებული ეთნოგრაფიული აღმოჩენებით და ანთროპოლოგიური კვლევებით გაითქვა, როგორც აღმოჩნდა, არა მარტო მეცნიერი, არამედ... ჯაშუშიც ყოფილა!

ამის შესახებ განცხადება ნ.მიკლუხო-მაკლაის შესახებ წიგნის ავტორმა, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელმა ოლეგ კარიმოვმა გააკეთა. მზვერავი მიკლუხო-მაკლაი იდეური მოსაზრებებით გახდა, რათა ამ გზით... ახალი გვინეის მცხოვრებთა კოლონიზაციისგან გადაერჩინა. მისი წინადადება იქ... რუსეთის ფლოტის ბაზების შექმნა იყო (?!), ასე ხსნის ბატონი კარიმოვი მოკლუხო-მაკლაის „იდეოლოგიის არსს“. სხვათა შორის, ახალ გვინეის ერთ-ერთი ნაპირი ახლაც მიკლუხო-მაკლაის სახელს ატარებს.

ჩასახვის ჩიპი

პროგრესი ადამიანებს თანდათანობით კიბორგებად გვაქცევს. მეცნიერებმა უკვე ისწავლეს ავადმყოფი ან დაკარგული სხეულის ნაწილების შეცვლა და თავის ტვინის კომპიუტერთან დაკავშირება. **გერმანიაში უკვე შექმნეს კაჟის კომპონენტიანი მიკროსქემა, რაც მომავალში დაზიანებული ქსოვილებისა და ორგანოების შეცვლის შესაძლებოლბას, სმენისა და მხედველობის აღდგენისა და, წარმოიდგინეთ, გონებრივი შესაძლებლობების აღდგენის საშუალებას შექმნის.** ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის ტვინის იმპლანტანტი შექმნეს, რომელიც დაკარგული მოგონებების აღდგენის შანსს იძლევა. მსოფლიოს რამდენიმე მეცნიერულ ცენტრში კომპიუტერის აზრის ძალით მართვის სისტემებზე კარგა ხანია, მუშაობენ, **მედიკოსებმა უკვე ისწავლეს ხელოვნური შარდის ბუშტის, ტრაქეის, სარძევე ჯირკვლების, სისხლძარღვების „გაზრდა“. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სინთეტიკურ პრობლემათა ინსტიტუტში „ელექტრონული ცხვირიც“ კი შექმნეს, რომელიც თავისით სწავლობს სუნების გარჩევას!**

ადამიანის კიბორგად გადაქცევას მუდამ ახლავს ორგანიზმში ნაირ-ნაირი ჩიპების ჩადგმა: შვედეთის ერთ-ერთ კომპანიაში თანამშრომლებს ხელში ბრინჯის მარცვლისხელა მინიატიურულ მოწყობილობას უკერავენ, რაც მათ ოფისის კარის გაღების, კორპორაციულ სასადილოში შეკვეთის გადახდისა და სხვა მოქმედებების საშუალებას აძლევს, რისი გაკეთება მხოლოდ ფირმის თანამშრომლებს შეუძლიათ.

მეტიც: კანქვეშ ჩანერგილი ჩიპი ქალს არასასურველი ფეხმძიმეობის თავიდან აცილების შესაძლებლობასაც აძლევს, რაც იმაში გამოიხატება, რომ მცირედი დოზით კონტრაცეპტივებს იგი სისხლში გადმუდმებით ასრულებს! თანაც, ის დისტანციურად იმართება, ამდენად, მისი გათიშვა და დაორსულება ქალს ნებისმიერ დროს შეუძლია!

მიირთვით... „კიკუს“ მწნილი!

ბოსტნეულის მაღაზიაში დახლზე დაწყობილი ქრიზანტემები იაპონიაში არავის უკვირს, ვინაიდან ამომავალი მზის ქვეყანაში ამ ყვავილებს ჭამენ.

ქრიზანტემებს მდუღარე წყალში ხარშავენ, ძმარს ასხამენ, შაქარს აყრიან და... გემრიელად მიირთმევენ. თუმცა, ისიც კია, რომ იაპონელებმა „კიკუს“, როგორც ამომავალი მზის ქვეყანაში ქრიზანტემებს უწოდებენ, გაკეთების ასობით რეცეპტი იციან. მათ მიაჩნიათ, რომ ქრიზანტემების ჭამა ადამიანებს ჯანმრთელობისა და ახალგაზრდობის შენარჩუნებაში ეხმარება.

ზღვის იდუმალებით მოსილი

ულამაზეს მარჯნებს, რომელთა გეოლოგიური ასაკი თითქმის ორნახევარი ასეული მილიონი წელია, კაცობრიობა სამკაულად უხსოვარი დროიდან იყენებს.

ვარდისფერი, შინდისფერი, ხასხასა წითელი მარჯანი შუამდინარეთში, ძველ ეგვიპტესა და საბერძნეთში უკვდავებისა და ბედნიერების სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ძველ ინდოეთში კი მარჯანი არა მარტო სამკაული, არამედ როგორც სამკურნალო და მაგიური თვისებების მქონე მინერალი ფასდება. საბერძნეთში მარჯანს ავგაროზებად იყენებდნენ, რომელიც პატრონს სნეულებებისგან და უბედურებებისგან იცავდა.

ბუდიზმის მიმდევართა აზრით, მარჯანი უძვირფასესად მიჩნეულ ერთ-ერთი იმ შვიდ მინერალთაგანია, რომლებსაც ადამიანისთვის ბედნიერება, ჯანმრთელობა, სიბრძნე მოაქვს და ავი სულებისგან დაცვა შეუძლია. ტიბეტელი ბერები მარჯნის გვირგვინებს ატარებდნენ, ხოლო ქრისტიანულ ხატმწერლობაში ყრმა ქრისტეს ხშირად მარჯნის მძივით ანდა ყელსაბამზე დაკიდებული მარჯნის ტოტით გამოსახავდნენ.

არსებობს ორი ტიპის მარჯანი — მარჯნის რიფები და მინერალი. რიფები პოლიპებითაა აგებული, ისინი ზღვის წყალში იზრდებიან და გარეგნულად მცენარეებს ჰგვანან, თუმცა კი, ცხოველები არიან და ზღვის ბინადრებით იკვებებიან. მარჯანი წელიწადში დაახლოებით 7,5 სანტიმეტრით იზრდება, ზღვის ტემპერატურა კი მის ირგვლივ 22 გრადუსზე მეტი უნდა იყოს. ბუნებაში 350-ზე მეტი ფერისა და ელფერის მარჯანი არსებობს — წითელი, თეთრი, შავი, ცისფერი, ოქროსფერი, წინწკლებიანი — ასეთ ნაირფერობას დედამიწაზე ვერც ერთი სხვა ცხოველი ვერ დაიკვეხნის.

ყოველწლიურად – მილიარდი კაცი

წლეულს მეტროს ამ წრიულ გზას არსებობის 130 წელი შეუსრულდება. მართალია, მთლიანად ის მხოლოდ 1925 წელს შეიკრა, მაგრამ მისი პირველი მონაკვეთი, რომლის სიგრძე 34,5 კილომეტრია, 1885 წელს ააშენეს. დღესდღეობით ტოკიოს ცენტრალურ ნაწილში მდებარე მისი 28 სადგურის გავლას მატარებელს დაახლოებით საათი სჭირდება.

იამანოტეს გზა მართალია ძველია, მაგრამ ამჟამადაც კარგად მუშაობს და დიდ სამსახურსაც უწევს ტოკიოსა და მისი შემოგარენის მცხოვრებლებს, სტუმრებს. დღე-ღამეში ამ წრიულ ხაზზე 560 შემადგენლობა გადის, რომლებსაც ყოველწლიურად მილიარდზე მეტი კაცი გადაჰყავთ.

მისცხეთ ინსულტს... ბანანი

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბანანები, რომლებიც ასე უყვართ მაიმუნებსა და პატარა ბავშვებს, თურმე, ინსულტის ალბათობას ამცირებს!

ეს ხილი მდიდარია კალიუმით, მეცნიერთა კვლევებით კი გაირკვა, რომ იმ ქალბატონებს, ვინც კალიუმს საჭირო რაოდენობით მოიხმარდა, სხვებთან შედარებით ინსულტი 12 პროცენტით ნაკლებად ემართებოდათ. აღსანიშნავია ისიც, რომ დიდი ოდენობით კალიუმს ასევე კარტოფილი და თეთრი ლობიო შეიცავს.

სიმარტოვის... წამალი

იელის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მარტოხელა ადამიანები ცხელ აბაზანებს სხვებზე გაცილებით უფრო ხშირად იღებენ.

აღმოჩნდა, რომ ცხელი აბაზანა მათ საკუთარი სიმარტოვის დავიწყების შესაძლებლობას აძლევს. მკვლევართა აზრით, ცხელი აბაზანა მარტოხელა ადამიანებს იმ დროში აბრუნებს, როცა ისინი დედის წიაღში იყვნენ და, მაშასადამე, თავს ყველაზე დაცულად გრძნობდნენ.

ხალ ჩოფი

„ხალ“ — ყირგიზულად „ხალს“ ნიშნავს, „ჩოფ“ — „ბალახს“, ესე იგი „ხალ ჩოფი“ „ხალის ბალახია“. იგი მაღალმთიან საძოვრებზე იზრდება — ერთი ფესვიდან რამდენიმე ათეული ღერო ამოდის და გვიან გაზაფხულზე ყვავის.

ხალ ჩოფს ყირგიზი ქალები ოდიდგანვე... ხალების გასაკეთებლად ხმარობდნენ. ამისათვის საჭიროა ყვავილის გულზე თითის დაჭერა — უმალ მოლურჯო სითხის წვენი გამოჩნდება ხოლმე, რომელიც სავსებით საკმარისია ხალის დასახატავად. სითხე მაშინვე შრება და ხავერდოვან შავ ფერს იღებს.

ხალების გარდა, ყირგიზი ქალები უწინაც და ახლაც სახეზე მოგრძო ჭრილობებს იკეთებდნენ — საამისოდ ჯერ კიდევ პატარა გოგონები კანს ნემსით იკაწრავდნენ და შიგნით ბალახის წვენს ასხამდნენ. ჩვეულებრივ, ორ-სამ ხალს იკეთებდნენ ხოლმე, მაგრამ „მოდას აყოლილებს“ ეს არ ყოფნით და სახეზე ოთხ-ხუთ ასეთ ხალს იკეთებენ.

ვის რა უნდა...

მოგეხსენებათ, ინტერნეტ-სივრცე გაჭედილია ნაცნობობის საიტებით. ჰოდა, სწორედ ეს საიტები გახდა ფსიქოლოგთა მორიგი კვლევის საგანი.

ამ საიტების მუდმივი მომხმარებლების გამოკითხვისას მკვლევარებმა დაადგინეს, რომ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულ მამაკაცთა უმრავლესობა არა რომანტიკულ და სუსტ ქალებს ეძებენ, როგორც ეს ძველებურ რაინდულ სათავგადასავლო რომანებშია აღწერილი, არამედ ისეთებს, რომლებიც ხასიათის სიმტკიცეში მათ ტოლს არ უდებენ. უფრო რბილი და დამყოლი მამაკაცები კი ცხოვრების მეგზურებად მზრუნველ ქალებს ეძებენ, რომელთათვისაც პირველ ადგილზე ოჯახური სიმყუდროვეა.

მცენარეთა ენა

ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ჯიმ ვესტვუდმა დაადგინა, რომ მცენარეებს ერთმანეთთან ურთიერთობა შეუძლიათ.

მეცნიერის განცხადებით, ისინი ამას რნკ-მეთოდით ახერხებენ, რომლის არსი დედობრივი რიბონუკლეიდური მოლეკულების ერთმანეთში გაცვლაა. ამ აღმოჩენის წყალობით მეცნიერები მომავალში მცენარეებთან ურთიერთობას ისწავლიან, იმედოვნებს პროფესორი ვესტვუდი.

◎ სიფრთხილეს თავი არა სტკივა

ნეპალის გაკვეთილები – საქართველოსთვის

2015 წლის აპრილში ნეპალში დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა. მისი მაგნიტუდა 7.8 იყო. ძლიერი ბიძგები მანამდეც იგრძნობოდა და ახლაც გრძელდება. წინასწარი მონაცემებით, ამ დროისათვის მთლიანად არის დანგრეული 1914 შენობა, ნაწილობრივ კი 4184. ზარალი ფასდება 5 მილიარდ დოლარად. ნგრევებია ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში და მოსაზღვრე სახელმწიფოებშიც, ზვავები ჩამოწვა ევერესტზე. ამ დროისთვის დაღუპულად ითვლება 6.000 კაცი, 11.000 დაჭრილია. მსხვერპლია დადასტურებულია მეზობელ ქვეყნებშიც, ევერესტზე დაიღუპნენ ალპინისტები.

მიწისძვრამ გამოიწვია დიდი რეზონანსი მთელს მსოფლიოში, საზღვარგარეთელ მაშველებს კოორდინაციას უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

საგანგებო ვითარება ნეპალში გრძელდება და ალბათ მალე არ დასრულდება, რაც მთავარია, საბოლოო შედეგები იქნება სავალალო.

ამასთან დაკავშირებით მინდა, შევეხო ერთ დოკუმენტს, რომელსაც ქვია „Urban Preparedness. Lessons from Kathmandu Valey" (ურბანული მზადყოფნა. გაკვეთილები კატმანდუს ველისათვის). ეს სქელტანიანი ნაშრომი (58 გვერდი) 2013 წელს ერთობლივად დაამუშავა რამდენიმე ორგანიზაციამ, საერთაშორისო წითელი ჯვრისა და ნეპალის წითელი ჯვრის ორგანიზაციების ინიციატივით და მხარდაჭერით.

იმიტაციური მოდელირებით შეფასებულია, რომ 2.5-მილიონიან ქალაქ კატმანდუში, 8.3 მაგნიტუდის სიძლიერის მიწისძვრისას დაიღუპება 100.000 კაცი, 300 000 დაჭრილი იქნება და 1.8 მილიონი დარჩება უსახლკაროდ.

ამ დოკუმენტში 12 სახელმძღვანელო მომენტია ჩამოყალიბებული, რომელზეც უნდა გაამახვილონ ყურადღება ადგილობრივმა სახელისუფლო, სამეცნიერო თუ სხვა ორგანიზაციებმა, რომ განახორციელონ მიწისძვრისათვის ქალაქის მზადყოფნის სრულყოფილი მენეჯმენტი, რომლის მიზანია მოსალოდნელი მიწისძვრისას უარყოფითი შედეგების შემცირება. მზადყოფნა გულისხმობს ქმედებებს მიწისძვრამდე, მიწისძვრისას და მას შემდეგ.

ეს დოკუმენტი შედგენილია 2013 წელს, მასში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა საზოგადოება აფასებს მიწისძვრის საფრთხეს და ემზადება მის დასახვედრად. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულ დებულებებსა თუ მითითებებს დიდი გაგებით შეხვედრიან ადგილობრივი ორგანიზაციები და მეწარმეებიც და, ალბათ, რომ დასცლოდათ მისი განხორციელება, 2015 წლის მიწისძვრის შედეგები გაცილებით მსუბუქი იქნებოდა.

რატომ უნდა იყოს საინტერესო საქართველოსთვის ნეპალის მაგალითი, ის ხომ ასე შორს არის, ჩვენგან განსხვავებულია და ასეთი სიძლიერის მიწისძვრა ჩვენთან არ არის მოსალოდნელი.

ჩვენთვის ნეპალის გაკვეთილები სწორედ საფრთხესთან დამოკიდებულებით უნდა იყოს საინტერესო.

საზოგადოებამ, მისმა თითოეულმა წევრმა უნდა იგძნოს პასუხისმგებლობა შედეგებზე და მოემზადოს მიწისძვრისთვის. მძიმე შედეგები შეიძლება სუსტმა მიწისძვრამაც მოიტანოს. 1991 წელს რაჭის მიწისძვრისას 25 ათასი შენობა დაინგრა, 1989 წელს სპიტაკის მიწისძვრისას სომხეთში 25 ათასი კაცი დაიღუპა, თუმცა, ამ მიწისძვრების მაგნიტუდა გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე ნეპალის 2015 წლის მიწისძვრისას. ჩვენთანაც არის საშიში ობიექტები, ქალაქები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ამიტომ უნდა მოვემზადოთ შესაძლო მიწისძვრისთვის. ჩვენც ხომ სეისმურად აქტიურ რეგიონში ვართ განლაგებული და მიწისძვრები ჩვენთან წარსულშიც ხდებოდა და მომავალშიც მოხდება. XX საუკუნეში საქართველოში ორი 9-ბალიანი მიწისძვრა და რამდენიმე 8 ბალიანი მიწისძვრა მოხდა.

უნდა მოვემზადოთ და ამაში შეიძლება ნეპალის მაგალითი და აღნიშნული დოკუმენტი მოგვეხმაროს, რომელიც შედგენილია საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე. იქნებ წითელი ჯვრის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთონ ამაში. უნდა მოვემზადოთ.

მიწისძვრა კატასტროფად არ უნდა მოგვევლინოს!



გურამ გაბრიჩიძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი.

სანთელი

ელისო ხანთაძე-ღარიბაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს მრეწველობის დამსახურებული მუშაკი, მეცნიერებათა დოქტორი **ელისო ზურაბის ასული ხანთაძე-ღარიბაშვილი**.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქ-ნი ელისო მუშაობას იწყებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იცავს დისერტაციას ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1973 წლიდან იგი მუშაობს მრეწველობის სამინისტროს დარგობრივ გამოთვლით ცენტრში განყოფილების გამგედ, შემდგომში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1988 წლიდან არჩევის წესით – დირექტორად. 1995 წლიდან ცენტრის ბაზაზე შექმნილი შპს „კომპიუტერის" დირექტორია. მან დიდი წვლილი შეიტანა დარგის ინფორმაციული უზრუნველყოფის სრულყოფაში, კომპიუტერიზაციასა და ახალი სისტემების შექმნაში, ინფორმატიკის დარგის სპეციალისტთა მომზადებაში, ეროვნული კლასიფიკაციის სისტემის შექმნასა და დანერგვაში.

1986 წელს დააჯილდოვეს „ხალხთა მეგობრობის" ორდენით.

ქალბატონმა ელისომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სპორტის განვითარებაში. იგი იყო საქართველოში პირველი სპორტის ოსტატი ქალი მაგიდის ჩოგბურთში. საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და საკავშირო სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას" მრავალგზის ჩემპიონი, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი პიროვნული ღირსებები. იგი იყო ბრწყინვალე ქართველი მანდილოსანი გამორჩეული თავისი გარეგნობით, სიდარბაისლით, გულისხმიერებითა და ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებებით, ნათესავების, მეგობრებისა და თანამშრომლების მიმართ სიყვარულისა და სითბოს უშურველად გამცემი.

ქ-ნი ელისოს ხსოვნა წარუშლელად დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

მეგობრებისა და თანამშრომლების ჯგუფი.

ხსოვნა

ვაჟა ვეფხვაძე

საქართველოს დააკლდა ღირსეული ქართველი და კოლორიტი პიროვნება **ვაჟა გრიგოლის ძე ვეფხვაძე**.

ვაჟა ვეფხვაძე დაიბადა ხაშურში და იქვე მიიღო საშუალო განათლება. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინჟინრის კვალიფიკაცია მიენიჭა.

ბატონ ვაჟას თბილისში თავისი პროფესიული მოღვაწეობის მანძილზე მრავალი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა. სხვადასხვა ორგანიზაციაში გახლდათ ინჟინრისა და მთავარი ინჟინრის თანამდებობებზე. პირნათლად უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობებს და გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, შრომისმოყვარეობით. ენერგიულობითა და თავდადებით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს.

მას ახასიათებდნენ და იცნობდნენ როგორც პროფესიონალ, კაცთმოყვარე პიროვნებას არა მხოლოდ თბილისსა და მშობლიურ ხაშურში, არამედ მთელ საქართველოში. ყველა აღნიშნავდა მის გამორჩეულ გულისხმიერებას და მზრუნველობას.

ძვირფასი პიროვნება დააკლდა სანათესაოს, მეგობრებს, ვეფხვაძეების უბანს ხაშურში.

ნათელში იყოს ბატონი ვაჟას სული და ცათა სასუფეველი დაუმკვიდროს მას უფალმა.

მეგობრების ჯგუფი

◎ კაკალ გულში

წარცილოჯანი ოჯახები

● **მივხვდი!**

ის, რომ ლარის კურსი ვარდება, ის, რომ ამდენი საქმე გამოსაძიებელია, ეკონომიკა არ ვარგა და კიდე ათასი უბედურება, იმიტომ კეთდება, რომ რუსეთი იტყვის, ეს გაუბედურებული ხალხი ჩემი სარჩენი რატო უნდა გახდესო და თვითონ დაგვანებებს თავს!

აი, ასე!

● **ვიწროებში უნდოდა შეტყუება და ვითომ უკან დაიხია, მაგრამ მომხდურები მიუხვდნენ ტაქტიკურ სვლას და კუდამოძუებულნი გაიქცნენ – წერს ჟამთაღმწერელი ბოცო წუკლარასა და ნინძების შერკინებაზე.**

● **ვითომ რამეს შეგვმატებს რეკლამა და პიარი?**

– რაც არ არი, არ არი, და რაც არი, – კი არი!

● **თინა ხიდაშელს, მთელი თავისი აქტიური ცხოვრების განმავლობაში, ხან ქუჩაში ეძინა თურმე, ხანაც პოლიციას ცემდა.**

თვითონ თქვა ეს-ესაა.

(„იმედი" 20 სთ. 06 წთ.)

საწყალი თინა.

● **პორნოგრაფიული ვიდეოების გავრცელების მუხლით დაიჭირეს გამავრცელებლები!**

ხომ გაფრთხილებდით, რომ „დააშეარებთ" ვიდეოს, გომელაური არ „დათაგოთ-მეთქი"?

● **ბრიტანელებს ყველაზე მეტ პატივს ვცემ მსოფლიოში!**

უდიდეს კულტურას რომ თავი გავანებოთ, როგორ გაუხარდათ ტახტის მემკვიდრის დაბადება!

სიხარულის ნიშნად, ადგნენ და გაანათეს ყველა მაღალი შენობა ლონდონში! დარწმუნებული ვარ, მათაც ეყოლებათ ერთი-ორი „გოკა გაბაშვილი", მაგრამ პატივს სცემენ ტრადიციებს და არ გამოვლენ და არ იტყვიან, რას გვიშვრება ეს მთავრობა, საიდან აპირებს „ლონდელასის" დავალიანების გადახდასო?

● **შალვა რამიშვილი რაიკომის მდივნის მძღოლივითაა! აქაოდა, ბიძოსთან დაახლოებული პირი ვარო, ხალხს არიგებს ერთმანეთს, უკვე, ტელევიზიით...**

● **1989 წელს, ერთი ეროვნული მოძრაობის გმირი ლიდერი, მამაჩემ სანდროს და მე ღრმა რწმენით გვეუბნებოდა,რუსებს რომ გავყრით, იაპონელებს ქვეებს მივყიდით, ქვის ბაღებისათვის და მარტო ამით მოლხენილად ვიცხოვრებთო.**

დამოუკიდებელი ვართ,რუსები მთლად ბოლომდე ვერ გავყარეთ, მაგრამ ეს ქვა-ღორღი ხომ ბლომად ყრია?!

იაპონელებმა გვიღალატეს!

● **ევროპული ოჯახის წევრი რომ არ გავხდე და ისევ მორიდებულად, ჩემს ტკბილ ოჯახში დავრჩე, ხომ არ გეწყინებათ?**

ამოკრიბა
გია გაბრიჩიძემ

ეპიტაფია

გემშვიდობებით!



ბატონო რეზო!

თქვენს სახლში ჩვენ ხელი მოვაწერეთ დიდ ქართულ დოკუმენტს — „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“ და მას „მოქმედების მანიფესტი“ ვუწოდეთ. ეს იყო და არის თქვენი სულისთქმა.

გვახსოვს, თქვენ მაშინ თქვით: „ჩვენი თაობის მეგობართა ფართო წრე ბოლო წლებში ბევრს ვფიქრობდით ასეთი დოკუმენტის შექმნაზე. ამ განწყობას გვიძლიერებდა ჩვენი პატრიარქის სიბრძნით სავსე ქადაგებები. ჭაბუა ამირეჯიბს, გიგა ლორთქიფანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, მერაბ ბერძენიშვილს, რეზო ამაშუკელს, ჯანსუღ ჩარკვიანს და არაერთ სხვა მოღვაწეს ღამეები გვითენებია ამ საქვეყნო სატკივარზე ფიქრში. ქვეყნის მდგომარეობით გამოწვეული ტკივილი თან წაიღო სამმა გენიოსმა - ჭაბუამ, მუხრანმა და გიგამ. დიდხანს მინდა ვიცოცხლო, ვიყო თქვენს გვერდით და ვიმოქმედოთ ერთად, რომ შევკრათ გათითოკაცებული სიკეთე ბოროტების სიყვარულით დასამარცხებლად. გიყვარდეთ საქართველო! გაუფრთხილდით საქართველოს! დაიცავით საქართველო! ეს არის ჩვენი ანდერძი, ისეთივე მამაშვილური, როგორიც ჩვენ მივიღეთ წინა თაობებისაგან.“

მართლაც, წინასწარმეტყველური ნათქვამია.

თქვენ გრძნობდით, რომ მიდიოდით ჭაბუასთან, მუხრანთან, გიგასთან და ძველით ახალი წლის წინა დღეებში, საავადმყოფოში დაწოლის წინა დღეს, გვითხარით თქვენი თხოვნა ერისა და ბერისათვის გადასაცემად - იგი შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილეს აღნიშვნას და საქართველოში მსოფლიო კონგრესის მოწვევას ეხებოდა და ასე დაასრულეთ: „ეს არის ჩემი თხოვნა, იქნებ უკანასკნელიც“.

მართლაც უკანასკნელი აღმოჩნდა, მაგრამ ზუსტად ის თხოვეთ ერსა და ბერს, რაც მართლაც გამოკვეთილად სჭირდება დღეს საქართველოს. დღეს ჩვენ ყველას გვეამაყება თქვენი რჩევით მიღებული ჩვენი საერთო გადაწყვეტილების გამო: „ქართული ერთობის დარბაზი“ ემიჯნება ყოველგვარ დაპირისპირებას და საქმიანობის მთავარ მიმართულებად მოქმედებათა ჰარმონიზაციას მიიჩნევს. რომ დაპირისპირება სუსტთა გზაა, თანამშრომლობის ჰარმონიზაცია მხოლოდ ძლიერთ ხელეწიფებათ“.

ძლიერი იყავით თქვენი წარსულით, ამაყობდით ჩვენი ქვეყნის ისტორიით, ჩვენი მეფეების, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის მოღვაწეობით, ერის მამად თვლიდით ილია ჭავჭავაძეს, მიგაჩნდათ რომ ქართული პლანეტარულს ნიშნავდა. ქვეყნის ბედნიერებად თვლიდით იმას, რომ ძნელბედობის ჟამს განგებამ საქართველოს სულიერ მოძღვრად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე მოუვლინა.

სწორედ ჩვენი ქვეყნის დიდი ისტორიული წარსულის გათვალისწინებით, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით დავიწყეთ დიდი მოძრაობა გელათიდან „მოქმედების მანიფესტში“ ჩამოყალიბებული დიდი ქართული მიზნისათვის... ვიფიქრეთ — „ყოველთა ქართველთა, საქართველოს შვილთა და საქართველოს მეგობართა მსოფლიო კონგრესის“ მოწვევაზე, ვიფიქრეთ - გენიალური შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილეზე... ყოველივე ეს საქართველოს გულისთქმაც არის, პრაქტიკულად, მომავლის საქართველოა, რომელზეც თქვენ ოცნებობდით!

ჩვენ ერთგულების კაცურ სიტყვას ვამბობთ: ეჭვი არ გვეპარება, რომ ერისა და ბერის ერთიანობაც იქნება და ყველაფერი ეს შესრულდება.

შენ უკვდავი ხარ შენი ფილმებითა და ცხოვრებით, ერთგულებით იყავი აღსავსე და ეს სიტყვებიც ჩვენი ერთგულების დასტურია, იმ ერთგულებისა, რომლითაც შევქმენით „ქართული ერთობის დარბაზი“ და აჩუქეთ სრულიად საქართველოს ტელევიზია ყველასათვის სანუკვარი სახელით — „ქართული“ და თქვით: „ჩვენ ძალიან მალე ბევრზე ბევრნი გავხდებით და ასეთი დიდი ერთსულოვნებით შექმნილი ტელევიზია მართლაც, უნიკალური ფაქტი იქნება სატელევიზიო სივრცეში“.

ყოველივე ამას დიდი მხარდაჭერა სჭირდება, ხატოვნად რომ ვთქვათ, ქართული ზეცისა და ქართული მიწის ერთობა სჭირდება და ასეც იქნება!

„ქართული ერთობის დარბაზის“ მთავარი დოკუმენტი „მოქმედების მანიფესტი“ გასული წლის 23 ნოემბერს, გიორგობას გაცხადდა სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში. დღეს, 6 მაისს, გიორგობას, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, კვლავ შევიკრიბებით დარბაზის დამფუძნებლები და წევრები, ამჯერად უთქვენოდ, მაგრამ მომავლის საქართველოზე ფიქრის განწყობით.

გიყვარდათ გამოთქმა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“, სწორედ ამის გამო იყო, რომ გენიალური მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ჩვენს სიმბოლოდ ვაქციეთ, „პატივდების სიგელზე“ გამოვკვეთეთ, იმ სიგელზე, რომელსაც ჩვენი საერთო ხელმოწერით გადავცემდით და გადავცემთ კიდეც მომავალში გულანთებულ ქართველებს, საქართველოს ნამდვილ მეგობრებს, რამეთუ, როგორც თქვენ ბრძანეთ: „პატივდების სიგელი“ — ეს არის საქართველოსათვის ბრძოლის განწყობის აღიარება და მოქმედების მანიფესტით შეკავშირება იმ ადამიანებისა, რომელთაც გააცნობიერეს რომ ქვეყანა, რომელიც ქრისტეშობამდე და მის შემდგომ აღიარებდა ოჯახის, საკუთრებისა და სახელმწიფოს პრიორიტეტს, ქვეყანა, რომელიც ბიბლიური ფასეულობებით ცხოვრობდა პირველივე საუკუნიდან — არ შეიძლება 21-ე საუკუნეში უარყოფდეს საკუთარ ფასეულობებს და აფეტიშებდეს სხვისას.

ეპოქალური ნათქვამია.

თქვენ მიგაჩნდათ, რომ „მოქმედების მანიფესტს“ უნდა შემოუერთდეს სრულიად საქართველო, ჩვენი სამშობლოს ყველა მეგობარი, რომ მხოლოდ ასეთ ერთობას შეუძლია დაასრულოს ქვეყნის გარედან მართვა, დაიბრუნოს საქართველო, გახადოს იგი რეალურად დამოუკიდებელი და დემოკრატიული, გვაცხოვროს სულიერებითა და სიყვარულით.

ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს. ასეც იქნება!

მადლობა! გემშვიდობებით!

„ქართული ერთობის დარბაზის“ სახელით

ანზორ ერქომაიშვილი, გივი თოიძე, ტარიელ ხარხელაური, თემურ გუგუშვილი, ომარ მხეიძე, არნოლდ გეგეჭკორი, რომან რურუა, რამაზ ყურაშვილი, გიგა ბათიაშვილი, გიორგი კანდელაკი, რამაზ ლომინაძე, ოთარ შამათავა, ავთანდილ ჩხაიძე, მიხეილ ჩიკვილაძე, თემურ შაშიაშვილი, ემილ მიქაია, გოგი ჯაოშვილი, ოლეგ ნიკოლეიშვილი, ჯონი ჯანელიძე, როლანდ კილაძე, ალექსი კობაიძე, გიგა მჭედლიშვილი, ირაკლი მაჭავარიანი, მურად ანჯაფარიძე, ნიაზ ბოლქვაძე, ლევან ნინიძე, გიორგი სიგუა, ლეონ ფირცხალავა.

შვილები ბიძინა, თამარი, ხათუნა, შვილიშვილები თინა, რეზო, ნინო ჩხეიძეები, ნინო, კატო სულხანიშვილები, სიძე კახა კახაძე, რძლები მარინა ხარიტონაშვილი, ნათელა ომიაძე, ნინელი ვარაზანაშვილი, დისწულები რამაზ სიყმაშვილი, გოჩა, მანანა გელაშვილები იუწყებიან, რომ რევაზ ჩხეიძის პანაშვიდი შედგება 6 V, ლარსის ქუჩა 5-ში, გადასვენება სამების საკათედრო ტაძარში 6 V, საღამოს 9 სთ. გამოსვენება სამების ტაძრიდან 7 V, 15 სთ.

დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

◎ ინფორმაცია

საქართველოში კვლავ წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი

მომდევნო დღეების განმავლობაში საქართველოს ცალკეულ რაიონებში იწვიმებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრში განუცხადეს, 6 და 7 მაისს საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა დღისით +15 +20 გრადუსი, ღამით +4 +9 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში დღისით +15 +20 გრადუსი, ღამით +4 +9 გრადუსი იქნება.

სინოპტიკოსები 8 მაისს საქართველოს მასშტაბით უნალექო ამინდს პროგნოზირებენ, 9 მაისიდან კი ისევ არამდგრადი ამინდია მოსალოდნელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და დიდი კინორეჟისორი

რეზო ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი ხელოვნის, ცნობილი რეჟისორის

რეზო ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით უერთდება სრულიად საქართველოს დიდ ტკივილს მსოფლიოში აღიარებული კინორეჟისორის, მრავალი სახელმწიფო ჯილდოსა და საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატის, ქართული კინოს კლასიკოსის, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის, დიდი მაესტროს

რეზო ჩხეიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, მეგობრებსა და კოლეგებს.

აკადემიის სახელით:
აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი
თეიმურაზ ბაბუნაშვილი
ვიცე-პრეზიდენტები, პროფესორები
ნოდარ ჭითანავა, თამაზ იმედაძე.

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ და მისი პრეზიდენტი ბონდო კობაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თანამედროვეობის უდიდესი კინორეჟისორის, დიდი ქართველი მამულიშვილისა და საზოგადო მოღვაწის, მშვდობის მსოფლიო ელჩის, ფონდის მიერ განხორციელებული ეროვნული პროექტების მხარდამჭერისა და მისი ბრწყინვალე შემფასებლის, უკეთილშობილესი და კაცთმოყვარე ადამიანის, ბატონ

რეზო ჩხეიძის

გარდაცვალების გამო. და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ნათესავებს და სრულიად საქართველოს.

გულნაზ, ნოდარ ემუხვარები სამძიმარს უცხადებენ ნაირა და რამაზ ხეცურიანებს მამისა და სიმამრის

მარლენ ჭაბაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

◎ ალიან-ჩალიანი

საზღვრის ჩაკეტვამ მოზარდის სიცოცხლე შეიწირა

12 წლის მოზარდი, რომელიც რუსმა ოკუპანტებმა სამკურნალოდ საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ გადმოატარეს, გარდაიცვალა.

როგორც შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა შალვა ენუქიძემ განაცხადა, 12 წლის მოზარდს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა.

„ამ ბავშვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონია. მოსულან ენგურის ხიდთან, რუსებს უთქვამთ, რომ ნაბაკევით გადაიყვანეთო და ამ გადასვლის პროცესში ბავშვი გარდაცვლილა“, — განაცხადა ენუქიძემ, რომელმაც აღნიშნული ინფორმაცია მოზარდის ოჯახთან დაახლოებული პირებისგან მიიღო.

სუიციდი თუ მკვლელობა?

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, თბილისის ზღვაზე 16 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს. ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

როგორც „ინტერპრესნიუსმა“ გაარკვია, გოგონა სკოლის მოსწავლე იყო და იგი სასკოლო ჩანთის ქამრით არის დამხრჩვალი.

ერთ-ერთი ვერსიით, მან თავი ჩამოიხრჩო.

თვითმხილველთა ინფორმაციით, გოგონა ზღვის ნაპირზე ჩაცმულ მდგომარეობაში იწვა, მოგვიანებით აჟიოტაჟი ატყდა, რომ ის გარდაცვლილი იყო.

თამაშების ჩაწყობის ბრალდებით 8 პირია დაკავებული

ორგანიზებული ჯგუფის მიერ პროფესიული სპორტული შეჯიბრებების მონაწილეთა მოსყიდვის ფაქტზე დაკავებულები არიან: საფეხბურთო კლუბ „სტუ თბილისის“ პრეზიდენტი ოთარ შენგელია, საფეხბურთო კლუბ „საჩხერის ჩიხურას“ ყოფილი სელექციონერი და ყოფილი ფეხბურთელი დავით გენძეხაძე, აზიური ტოტალიზატორის — „b,w,tn“-ის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში ომარ ნ, საფეხბურთო კლუბ „ხარაგაულის ჩხერიმელას“ მოქმედი ფეხბურთელები — გიორგი გ. და თემურ ს, საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი გიგა ბ, ასევე ორი პირი — იოსებ გ. და გიორგი კ, რომლებიც მოსყიდვაში მონაწილეობდნენ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული პირები 10 000 ლარიდან 20 000 ლარამდე თანხის სანაცვლოდ, წინასწარ ურიგდებოდნენ საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე სხვადასხვა გუნდის წარმომადგენლებს კონკრეტული საფეხბურთო მატჩების სასურველი შედეგით დასრულებისთვის. შემდეგ, წინასწარ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ონლაინ ტოტალიზატორებში შესაბამის ფსონებს ათავსებდნენ და მოგებულ თანხას ერთმანეთში ინაწილებდნენ.

◎ დღესასწაული

გიორგობის მადლი გფარავდეთ!

დღეს, 6 მაისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს წმიდისა დიდებულისა, დიდმოწამისა, ძლევამოსილისა და სასწაულმოქმედისა გიორგის ხსენებას.

ქართველებისთვის ცნობილია ჩვენი მფარველი წმინდანები, განმანათლებლები, მაგრამ განსაკუთრებული მფარველია წმინდა გიორგი. მის შესახებ უამრავი ლეგენდა და თქმულებაა. საქართველოს რომელ კუთხეში არ არსებობს მის სახელზე აგებული ეკლესია-მონასტრები. ისიც ცნობილია, რომ მართლმადიდებელ სამყაროში და განსაკუთრებით ჩვენში სახელებს შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს გიორგი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II ლოცვა-კურთხევით, შევთხოვთ შეწევნას წმინდა დიდმოწამე – გიორგის!

შევთხოვოთ სუჯუნის დიდმოწამე გიორგის სახელობის ტაძრის მსწრაფლშემსმენელ („მარჩქილარი“) ხატს საქართველოს გამთლიანება, გაბრწყინება, ურთიერთსიყვარული...

* * *

დღესვე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოწამე დედოფალ ალექსანდრას იხსენიებს... დედოფალმა ალექსანდრამ, წმინდა გიორგის ტანჯვისა და მისი სიმტკიცის შემხედვარემ, გადაწყვიტა ღიად განეცხადებინა თავისი რწმენის შესახებ. დედოფალი იმ ადგილას მივიდა, სადაც წმინდა გიორგის ტანჯავდნენ. დიდმოწამის ფეხებთან დავარდა და ყველას წინაშე თავი ქრისტიანად გამოაცხადა.

იმპერატორმა დიოკლეტიანემ თავისი მეუღლე ალექსანდრა სიკვდილით დასაჯა...

დიდმოწამე გიორგის ყველა მოსახელეთ და მაისის თვის ამ რიცხვში დაბადებულ ყველა გიორგის ვულოცავთ დაბადების დღეს და გიორგობას!

გიული ლიპარტია

◎ ოჰ, ეს ფასები!

რა ღირს ცნობილი ბრენდების სამოსი და აქსესუარი თბილისში?

ბოლო პერიოდში ადგილობრივ ბაზარზე ბევრი ახალი, ძვირად ღირებული ბრენდი გამოჩნდა და შესაბამისად კონკურენციაც გაიზარდა.

bpn.ge დაინტერესდა, რა ღირს ცნობილი ბრენდის სამოსი თუ აქსესუარი, რამდენად ხშირად ცვლიან კოლექციას, კმაყოფილები არიან თუ არა მომხმარებელთა რაოდენობით და არის თუ არა ამ ბრენდებზე ფასდაკლებები? bpn.ge რამდენიმე ცნობილი ბრენდული მაღაზიის მარკეტინგის მენეჯერს ესაუბრა.

შედარებით ხელმისაწვდომი ბრენდის, Diesel-ის სამოსი საქართველოს ბაზარზე 2010 წელს გამოჩნდა. მათი პროდუქცია ძირითადად საშუალო სეგმენტზეა გათვლილი და საშუალოდ ფასები 200-300 ლარის ფარგლებში მერყეობს. მარკეტინგის მენეჯერის თქმით, კოლექციას თითქმის სულ ანახლებენ, მაგრამ ძირითადი განახლება წელიწადში ორჯერ, შემოდგომა-ზამთარისა და გაზაფხული-ზაფხულის სეზონზე ხდება. ფასდაკლებები ძირითადად ძველ კოლექციაზე ცხადდება. Diesel-ის მაღაზიაში სამოსი იტალიიდან შემოდის და მაღაზიის წარმომადგენელთა განცხადებით, პროდუქცია არის ორიგინალი. ამჟამად დიზელის მაღაზიები გახსნილია თბილისსა და ბათუმში. სულ მალე თბილისში Diesel-ის მეორე მაღაზიის გახსნა იგეგმება.

Versace-ს იტალიური მოდის სახლის კოლექცია უკვე თბილისშიც იყიდება. მაღაზიის მარკეტინგის მენეჯერის თქმით, მედიასთან კომუნიკაცია მათ პოლიტიკაში არ შედის. როგორც ბრენდის ვებგვერდზე არსებული ინფორმაციიდან ირკვევა, საქართველოში ბრენდის შემომტანი კომპანია NG Georgia. კომპანიას საქართველოში შემოაქვს ისეთი ცნობილი ბრენდების კოლექციები, როგორიც არის VERSACE, VERSUS, ROBERTO CAVALLI, JITROIS, ALEXANDER MCQUEEN, ETRO, RALPH LAUREN, GAETANO NAVARRA, BLUMARINE, BARBARA BUI, CASADEI და სხვა. ფასები სამოსსა და აქსესუარებზე საკმაოდ შთამბეჭდავია და ძირითადად ოთხნიშნა რიცხვებშია გამოსახული. მაგალითად, მიმდინარე კოლექციაში ერთ-ერთი კაბის ფასი 6000 ლარს აჭარბებს, ხოლო ქამრის ფასი 2 ათასს ლარს აღწევს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ადგილობრივი მომხმარებლის გარდა, ცნობილი სამოდელო სახლების სამოსის შესაძენად საქართველოში აზერბაიჯანიდან და სომხეთიდანაც კი ჩამოდიან, რადგან ცნობილი ბრენდების პროდუქცია საქართველოში უფრო ხელსაყრელ ფასად იყიდება, ზოგიერთ ბრენდს კი მათ ქვეყანაში ოფიციალური წარმომადგენლობა არ ჰყავს.

2012 წლიდან თბილისში წარმოდგენილია ერთ-ერთი ცნობილი ბრიტანული ბრენდი BURBERRY, რომელიც ფუფუნების მოყვარულ ძვირად ღირებულ ადამიანებს სამოსს, აქსესუარებსა და სუნამოს სთავაზობს. ფასები აქაც შთამბეჭდავია და ძირითადად რამდენიმე ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს.

115 ლარიდან იწყება და 29 000 ლარამდე ადის საათის ფასები Art-time-ში. კომპანია 19 უცხოური ბრენდის საათებისა და სამკაულების იმპორტს ახდენს. ძირითადი პროდუქტი შვეიცარიული საათები და საიუველირო ნაკეთობებია. კომპანიის მარკეტინგის მენეჯერის თქმით, 2008 წლამდე ბევრად მეტი მომხმარებელი ჰყავდათ, ვიდრე დღეს. კოლექციის განახლება წელიწადში ორჯერ ხდება. ძველ კოლექციაზე კი ცხადდება აუთლეტი, რა დროსაც ძველი კოლექცია შედარებით დაბალ ფასში იყიდება და მოქმედებს 20%-დან 50%-მდე ფასდაკლებები.

P.S. ბრენდულ მაღაზიებში სამოსი და აქსესუარები იმდენად ძვირი ღირს, ხშირ შემთხვევაში, მაღაზიები მომხმარებელს საკუთარ პროდუქციას განვადებით სთავაზობენ.

თაკო ესებუა

◎ მოდი, ერთად ვიცინოთ!

მაისს სიცილიც შვენის!

უდიდესი თვისება, რომლითაც ადამიანი დედამიწის ყველა სხვა ბინადართაგან გამოირჩევა – იუმორია, რომლის უმაღლესი გამოვლინება სიცილია.

მით უმეტეს, როცა პატარები იცინიან, რომელთა სამხიარულო განწყობას აგრერიგ უხდება სიმღერა, ცეკვა, თამაში, გაზაფხული და მოსიყვარულე მშობლები და ბებია-ბაბუები. ღიმილი გაუნაწილეს თბილისელებმა 3 მაისს რუსთაველის პროსპექტზე შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, მზრუნველობას მოკლებულებს, რომლებმაც მსოფლიო სიცილის საერთაშორისო დღე აღნიშნეს.

ნაირფერადი დღესასწაული იყო ამ წვიმიან მაისში სიხარულისა და სიცილის დღე, რომელიც, იმედია, ჩვენს პატარებს მომავლის განუყრელ მეგზურად ეყოლებათ.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ციცცხალი ანეკდოტები

— **ეძიმო,** ხომ არის გონებასუსტობა გაყრის საფუძველი?

— პირიქით, ჩემო კარგი, იგი ქორწინების საფუძველია.

* * *

ერთხელ მამაკაცმა ჰკითხა უფალს: „რატომაა, რომ ყველა ქალიშვილი ნაზი, მომხიბლავი და ალერსიანია, ქალები კი ასეთი ქოფაკები არიან?

და პასუხად მიიღო: „ქალიშვილებს მე ვქმნი, მათგან ქალებს კი თქვენ ჰქმნით!“

* * *

— **რა** ქნა ჭიჭიკია, შენმა უფროსმა ვაჟიშვილმა, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო მუშაობა?

— დაიწყო, როგორც იქნა, სასაკლაოზეა ახლა, გამტყავებლად.

— აუჰ, მოსწონს მერე ეგ საქმე?

— მოსწონს, აბა არა?! ხომ იცი, ცხოველებთან ღლაბუცი მაგას ბაღნობიდან უყვარდა!

* * *

— **რას** გეტყვი იცი, მოშე, დაგენაცვლე? ფული კაცს უფრო ბედნიერს არ ხდის. აი, ახლა, 50 მილიონი მაქვს, მაგრამ ისევ ისე ვარ ბედნიერი, როგორც იმ დროს ვიყავი, როცა 49 მილიონი მქონდა!

* * *

მონოლოგი გადაჭედილ ავტობუსში:

— ე, ბიჭო, რას შვრები! არ იცი, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში რქებს რამე ტილო მაინც უნდა შემოახვიო? ავტობუსში ხარ, ტყეში ხომ არა!.. თავზე ხელს რაღაზე ისვამ? ეს რქები აგერ ზურგჩანთაში არ გიწყვია?!.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24